



ბაზეთი ბამოლის 1999 წლიდან

ილორი

www ilori.ge

ქართველობის გადასარჩენად

მარიონული
ბიზლირთეხა




№ 58 (119) 16 მარტი 2010

სახალხო

მოქრატობა

“სამეგრელოს” ტრანსი


50 თეთრი



2

ჩვენ პირველები პართ...

მებრული
პოეზიის
რეფსოდია
პოეტი ლაშა
ბახარია



5

აფხაზეთის ღირსეული შვილები

აფხაზეთისთვის და
ქართველებისთვის
ერთნაირად საამაურო
ადამიანი

11



9


ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაღწინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღადგმეს.

სარგაი ქრეშლიოვი
ლავრენტი
-ბერიკა -
ამოცა საუკუნის
საუკეთესო მენეჯერი



4

ბაზეთი "ილორი" უბრუნა რეზიკას "საუბრის" საუბრითი კლუბი



“ცრენა
ზეზდა”,
ბელგრადი,
იუგოსლავია

12



მამულიშვილის
საინტერესო
ნიგნის
შესახებ

6



8

რას ნიშნავს
სიტყვა ეუროპა



საქართველოს
საბარეო პოლიტიკა
და დიპლომატია

1918-1921 წლებში

7

თემურ ქორიძე

ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია

გაზეთ “ასავალ-დასავალში” გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ ანზორ შონიასთან, სათაურით – “შონიამ სომხები გააქროს კავკასიის რუქიდან”...

იქვე დაბეჭდილი იყო მის წიგნში “კოლხები ქართველების წინაპრები” მოთავსებული “კოლხეთის (გერისის) სამეფოს” რუკა ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიდან კასპიის ზღვამდე. ფაქტობრივად მთელ სამხრეთ კავკასიას, ხოლო სომხეთის სამეფო საერთოდ არ იყო კავკასიაში.

ინტერვიუში ნათქვამი იყო, რომ ამ ეპოქაში სომხები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ კავკასიაში.

– ბატონო ანზორ, რა რეაქცია გამოიწვია აღნიშნულმა ინტერვიუმ სომხურ საზოგადოებაში?

– როგორც ცნობილია, სომხები ქართველებისაგან განსხვავებით უყურადღებოდ არ ტოვებენ თუ რაიმე ითქვა სომხეთზე, მით უმეტეს უარყოფითი. წიგნი ჯერ დაბეჭდილი არ იყო, რომ დაიწყო რეკვები, ეტყობა სტამბაში ვიღაც სომეხი მუშაობდა. ყველანი ერთმნიშვნელოვნად მიიხვედნენ, რომ რუკა იყო არასწორი და მოითხოვდნენ კავკასიის რუკაში სომხეთის შეტანას. როცა ავეუსენი, რომ აღნიშნული რუკა შედგენილი იყო პეროდოტეს (ძ.წ.აღ. V საუკ.) მიხედვით, ზარები მეტნაკლებად შეწყდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ რეკავს ერთი სომეხი და მეუბნება, რომ პეროდოტე კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ხალხებს ასახელებს და არა ქვეყნებს. ვუპასუხე, რომ პეროდოტე, სწორედ კავკასიაში არსებულ ქვეყნების ხალხებს ასახელებს და თუ სომხებიც მათ შორის იქნებოდნენ, ბუნებრივია, სომხებიც მოხვდებოდნენ კავკასიის რეგიონში. ამის შემდეგ ზარები შეწყდა, ეტყობა კონსულატშია რომელიმე სომეხი მეცნიერისგან აიღეს და მიხედნენ, რომ ამ საკითხზე დავა ერთმნიშვნელოვნად მათთვის არასასურველი შედეგით დამთავრდებოდა.

– ბატონო ანზორ, “ასავალ-დასავალში” გამოქვეყნებულ ინტერვიუს ქართული საზოგადოებრივად არავითარგანობიანი გამოხატულება მოჰყვა, განაღო კითხვები, გამოჩნდნენ ოპონენტებიც. თქვენ რას გვეტყობით?

– მართლაც, წიგნის “კოლხები ქართველების წინაპრები” (თბ. 2007 წ.) გამოქვეყნებას გარკვეული გამოხმაურება მქონდა, მაგრამ ძირითადად დადებითი. სხვათაშორის, გაზეთ “ილორი” გამომცემლებს ისე მოეწონათ ჩემი წიგნი, რომ მთლიანად გამოაქვეყნეს, ასევე გამოაქვეყნეს ჩემი ნარკვევი “ზენი ქვეყნის სახელები სხვადასხვა ეპოქაში”. ამავე გაზეთში გამოქვეყნდა საზოგადოება “საქართველოს პალატიუმი” წერილი ჩემს წიგნზე, სათაურით “დიდი ქართული წიგნი”, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნაშრომი “კოლხები ქართველების წინაპრები” წარმოადგენს ყველა ქართველისათვის სამაგიდო წიგნს, იგი დიდი ილიას “საერთო ნიადაგის თეორიის” მეტად წარმატებულ განვითარებას წარმოადგენს. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ერთადერთი ვარ, რომელმაც შევადგინე რუკა, სადაც ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელი სამხრეთ კავკასია ჩვენი ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული და ერთმნიშვნელოვნად განვაცხადე, რომ ქართველ ხალხში ერთი ეთნოსის დომინანტია, ყველა ქართველი ერთი ჯიშის, ერთი გენის ჯეშ-

მარიტი ქართველია. შეუძლებელია ეს ნებისმიერ ქართველს არ გახარებოდა.

– ბატონო ანზორ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ზოგიერთმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: “ანზორ შონიამ თავის წიგნში “კოლხები ქართველების წინაპრები” შეტანილი რუქიდან, არა მხოლოდ სომხეთი, არამედ თითქმის ყველა ქართული კუთხე გააქრო”-ო. ამაზე რას გვეტყობით?

– თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მე ეს არ გამკვირვებია. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომელთაც ურჩევნიათ ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე კი არ ყოფილიყო, არამედ მისი ნახევარი დაეკავებინა, ოღონდ მას “კოლხეთის (გერისის) სამეფო” კი არ ერქვა, არამედ იმ კუთხის სახელი, საიდანაც ეს “ვაი-ქართველია”. სწორედ ეს არის აშკარა კუთხური ცნობიერება, რომელმაც საშინელი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. მე კი არ გვაქვს ქართული კუთხეები კავკასიიდან, არამედ იმ ეპოქის ჩვენი ქვეყნის საზღვრებში მოვაქციე ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, რაც უპრეცედენტო მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. სამწუხაროდ, იმ ეპოქის “კოლხეთის სამეფოს” არც საზღვრებია ცნობილი და არც რეალური ისტორია არსებობს. მხოლოდ ეს არის, რომ “კოლხეთის სამეფოში” ოცზე მეტი სახედასხვა დასახელების ტომი შედიოდა: ხალდები, ხალიბები, მესხები, მანრალეები, შკეითინები, მისიმინები, დრილეები, ჰენიხები, სანები და ა.შ., მაგრამ არც მათი განსახლების ტერიტორიებია ცნობილი.

ბუნებრივია, ისინი კოლხები იყვნენ და სხვადასხვა სახელებით იმიტომ იწოდებოდნენ, რომ ცხოვრობდნენ “კოლხეთის სამეფოს” იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები მიიხვედნენ, რომ ჩვენს ქვეყანას შორეულ წარსულში ერქვა “იბერები” და მოსახლეობას “იბერები”. გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით კავკასიიდან იბერების გარკვეული ნაწილი მოხვდა ევროპაში, ნაწილი – ამერიკის კონტინენტზე. ატეობა, ამ მოვლენის შემდეგ ჩვენს ქვეყანას დაერქვა “კოლხეთის სამეფო” და მოსახლეობას “კოლხები”. შესაძლებელია იბერიის სამეფოში კოლხური ტომიც შედიოდა, რომლის წარმომადგენელიც სამეფოს სათავეში მოხვდა და ამიტომ დაერქვა “კოლხეთის სამეფო”. ყოველ შემთხვევაში, ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისიდან, რეალურად არსებობს “კოლხეთის სამეფო”, რომელიც ღირსეულ პარტნიორობას უწყევდა იმ ეპოქის მოწინავე სახელმწიფოებს. სამწუხაროდ, კომპრეზების და სხვადასხვა ურდოების შემოსევების შედეგად “კოლხეთის სამეფო” არსებობა შეწყვიტა (ძვ. წ.აღ. VII საუკ.). მაგრამ მის ყოფილ ტერიტორიაზე, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩამოყალიბდა “გერისის სამეფო” (დაახლოებით ძვ. წ.აღ. VII-VI საუკ.), რომელმაც შეცვალა “კოლხეთის სამეფო”. ყოველ შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ კოლხური ენა იგივე მეგრული ენაა და მეგრელები კოლხების უშუალო მემკვიდრეები არიან, მაგრამ ბერძნები “გერისის სამეფოს” ისევ “კოლხეთის სამეფოდ” მოიხსენიებდნენ. ამდენად, ჩემს წიგნში მოთავსებული პეროდოტეს მიხედვით შედგენილი ჩვენი ქვეყნის რუკა, ფაქტობრივად, ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეების “გერისის სამეფოს” რუკაა, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ტერიტორიაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ცხოვრობდნენ მეგრელები და გავრცელებული იყო მეგრული ენა. ბუნებრივია, “გერისის სამეფოს” დასახელებული ტომები ისევ დარჩნენ “გერისის სამეფოს” შემადგენლობაში, მხოლოდ ამ ეპოქაში ისინი მეგრულ ტერიტორიულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ და სხვადასხვა სახელებით იწოდებოდნენ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ გერისის იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. ამ ეპოქაში “მეგრელი” ზოგადეროვნული ცნება იყო და მეგრულ ენას სახელმწიფო სტატუსი მქონდა. აღსანიშნავია, რომ “გერისის სამეფოში” მოხსენიებული ტერიტორიული ჯგუფების ადგილებდარეობა უცნობია, მით უმეტეს, იმ ეპოქაში ჩვენს ქვეყანაში თითქმის არც

ერთი ის ტერიტორიული ჯგუფი არ არის მოხსენიებული, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში წარმოჩნდნენ ქართულ სინამდვილეში. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენი ქვეყნის იმ ეპოქის (ძვ. წ.აღ. VI-IV საუკ.) რუკაზე მისი შემადგენელი კუთხეები არაა ნაჩვენები, თორემ არავითარ გაქრობას ადგილი არ ჰქონია. არა და, ამისთანა მკრეხელური აზრი შეიძლება მოუვიდეს გაცს, რომელსაც წარმოადგენა არა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე. სხვათა შორის, გამოქვეყნდა ჩემი ბროშურა – “ჩვენი ქვეყნის სახელები სხვადასხვა ეპოქაში”, სადაც მოთავსებულია ჩვენი ქვეყნის რუკები სხვადასხვა ეპოქაში და ყველა ქართული რეგიონი ჩანს, თანაც იმის მითითებით, თუ რომელი საუკუნიდან წარმოჩნდნენ ისინი ქართულ სინამდვილეში.

– ერთ-ერთი ოპონენტი, კახელი კაცი მოვიდა ჩვენთან და საყვედური გამოთქვა: ბატონი ანზორი ბრძანებს, რომ დღევანდელი კახეთის ტერიტორია ყოფილი პერეთის ტერიტორიაა და რადგანაც პერეთი “ალბანეთის სამეფოს” დასავლეთი ნაწილია, თითქმის კახელები ალბანების უშუალო შთამომავლები ვართ, ხოლო ალბანები მეგრელები ყოფილან.

– დამერწმუნეთ, ეს მე არ მითქვამს, ამას ისტორია ამბობს – როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში “გერისის (კოლხეთის) სამეფო” დაიშალა და მის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩნდნენ იბერიისა და ალბანეთის სამეფოები. რამ განაპირობა ახალი სამეფოსათვის ალბანეთის დარქმევა, უცნობია, მაგრამ, ეტყობა, იბერიის დარქმევა განაპირობა იმან, რომ შორეულ წარსულში ჩვენს ქვეყანას იბერია ერქვა, რაც ალბათ ხალხის მასხვორობას შემორჩა. რასთან იყო ეს მოვლენა დაკავშირებული, უცნობია, მაგრამ, რადგან ისინი “გერისის სამეფოს” ტერიტორიაზე წარმოჩნდნენ, სადაც ცხოვრობდნენ მეგრული ტერიტორიული ჯგუფები, იბერებიც და ალბანებიც მეგრელები იყვნენ, უფრო ზუსტად, იბერიაში მცხოვრებ მეგრებს დაერქვა იბერი და ალბანეთში მცხოვრებს – ალბანი.

ამ ეპოქაში (ძვ. წ.აღ. VI-III საუკ.) ცნება “მეგრელს” ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, მის ქვეშ მოიაზრებოდა ნებისმიერი კუთხის მკვიდრი, ისევე როგორც დღეს აქვს ცნება ქართველს. საქართველოს ისტორია ფაქტობრივად გერისისა და იბერიის სამეფოების ისტორიაა, სწორედ მათი გაერთიანებით (XI ს.) საფუძველი ჩაეყარა ერთიან “საქართველოს სამეფოს”, ხოლო, სამწუხაროდ, ალბანეთი ადრევე მოწყდა ქართულ სინამდვილეს – V საუკუნეში ალბანეთის სამეფო სპარსებმა დაიპყრეს და იქ მეფობა გააუქმეს, VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს, ხოლო X-XI საუკუნეებში თურქ-სელჩუკებმა, რომლებმაც განახორციელეს ალბანების სრული ასიმილირება-გათურქება. შემდგომში ალბანეთი ყოველ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახანოები ჩამოყალიბდნენ, რომელთა ტერიტორიაზე დღეს ძირითადად აზერბაიჯანია. სამწუხაროდ, ალბანეთის რობაზე და ალბანების ვინაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში უფნდამენტური მასალა არ არსებობს. მართალია, ქართველი მეცნიერები მიიხვედნენ, რომ ალბანები ქართველების მონათესავე ერთმორწმუნე ხალხი იყო, მაგრამ, რატომღაც, ძიება ამაზე შორს არ წასულა. ამჟამად ალბანების ვინაობაზე აღმოჩენილია წყარო, რომლის მსგავსი იშვიათია ისტორიაში – არსებობს IX საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედია, სადაც ერთმნიშვნელოვნად წერია – “ალბანები მეგრელები არიან”. ასეთივე აზრისაა ბიზანტიელი სწავლული ევდოკია (XI ს.) და ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს ბიზანტიელები ღაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, ხოლო მეგრელებს ღაზებად, მაგრამ ეტყობა, ბიზანტიელმა სწავლულებმა იცოდნენ, რომ ღაზები მეგრელები იყვნენ, რაც წყაროს რეალურიაზე მეტყველებს. ეტყობა, IX-XI საუკუნეებშიც კი ალბანეთში შემორჩენილი იყო მეგრული ენა, ვინაიდან სწორედ ენის ფაქტორმა ათქვეყნია ბიზანტიელ სწავლულებს, რომ ალბანელები მეგრელები იყვნენ. როგორც ცნობილია, ალბანეთის სამეფოს დასავლეთი რეგიონი იყო პერეთი, რომელიც იბერიის (ქართლის) სამეფოს შე-

მადგენლობაშია V საუკუნიდან. ეტყობა პერებმა თავი დააღწიეს სპარსეთს და მოძვე იბერებს შეუერთდნენ. სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი იოსებ ყიფშიძე თავის წიგნში – “მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა” (ს/პეტ. 1924 წ.) ასახელებს მეგრულ ტომონიმებს, გამოთქმებს, მეგრული ენის ნაკვალევს პერეთის ერთ-ერთ რეგიონში, საინგილოში. ტერიტორიულად პერეთი მოიცავდა, ფაქტობრივად, თითქმის მთელ იმ ტერიტორიას, რომელსაც დღეს კახეთი ჰქვია. კახეთი საქართველოს ერთიან ეპოქამდე მდებარეობდა მთიულეთში, დაახლოებით დღევანდელი მთიანეთის რეგიონში. დადგენილია, რომ ქალაქი თელავი არსებობს II საუკუნიდან, მაგრამ ამის მაუწყებელი წყარო ადასტურებს – თელავი ალბანეთის დასავლეთ რეგიონის პერეთის ქალაქი იყო. ისტორიიდან მტკიცდება, რომ პერეთი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იბერიის (ქართლის) ცხოვრებაში. მართლაც, პერებმა დიდი როლი ითამაშეს ქართველი ერის ჩამოყალიბებაში, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ პერების ეთნარქი “პეროსი” აღიარებულია ქართველების ერთ-ერთ ეთნარქად “ქართლოსთან” და “გეროსთან”. ერთად, იბერიის (ქართლის) სამეფოს შემადგენლობაში პერეთი ჯერ იყო სამთავრო, შემდგომში მისგან დამოუკიდებელი სამეფო, ხოლო XI საუკუნეში კახეთისა და პერეთის სამეფოები გაერთიანდნენ და ერთიან საქართველოს ეპოქაში (XI-XII ს.ს.) პერეთიც უკვე მოიხსენიება კახეთის რეგიონად. ბუნებრივია, პერები, როგორც ალბანეთის სამეფოს ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, მეგრელები იყვნენ და რადგანაც დღევანდელი კახელები ძირითადად პერები არიან, ისინიც მეგრელების შთამომავლები არიან. ამდენად ოპონენტს შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეს რეალური ისტორიაა, მაგრამ საკითხავია, ოპონენტი რაღა პერეთს და პერებს მიაღვა, მაშინ, როდესაც ჩემს წიგნში “კოლხები ქართველების წინაპრები” ერთმნიშვნელოვნად წერია – ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი კუთხის წარმომადგენლები, ესენი იქნებიან ქართლები, კახელები, იმერლები, გურულები, სვანები, აჭარლები თუ სხვები, კოლხების, იგივე მეგრელების შთამომავლები და ჭეშმარიტი ქართველები არიან. ყოველივე ეს რეალური ისტორიაა. მართლაც, როდესაც კოლხეთის (გერისის) სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩნდნენ იბერიის და ალბანეთის სამეფოები (ძვ. წ.აღ. IV-III ს.ს.), მათ საფუძველი ჩაუყარეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა მეგრულმა ტერიტორიულმა ჯგუფებმა და, რაგვრც ზემოდ აღვნიშნე, ამ ეპოქიდან იბერიაში მცხოვრებ მეგრებს დაერქვა იბერი, მთელი ალბანეთში მცხოვრებს – ალბანი, ხოლო უმეტეს, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ჩვენი ქვეყნის კუთხეებს ის სახელები არ ერქვათ, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის ეპოქაში ჰქვიათ. სხვათა შორის, კახელი კაცისთვის მიუღებელია თურმე მეგრელების შთამომავლობა, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ აზერბაიჯანელები პრეტენზიას აცხადებენ დავით გარეჯზე, ვინაიდან მას ალბანელების მიერ აშენებულად მიიხვედნენ და რადგანაც ისინი თურქებისა და ალბანელების შთამომავლებად ითვლებიან, თხოულობენ დავით გარეჯს აზერბაიჯანელები მოემსახურონ. სწორედ ამ კატეგორიის ხალხი აძლევს მათ საფუძველს დავით გარეჯზე პრეტენზიას განაცხადონ. ყოველ შემთხვევაში, ვინ რას ფიქრობს, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს არის ქართული ეთნოსის ობიექტური ისტორია. მინდა მივმართო ქართულ საზოგადოებას:

– ბატონებო! არაფერია საგანგაშო იმაში, რომ ქართული ეთნოსის სათავეებთან მეგრელები აღმოჩნდებიან, კახელები, ქართლები თუ სხვა ქართული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, არამედ მთავარია, რომ ყველანი ერთი ეთნოსის, ერთი გენის და ჯიშის, ერთი ენისა და სარწმუნოების, საერთო ქართული ცნობიერების მქონე ჭეშმარიტი ქართველები ვართ.

ანზორ შონია,

“ფაზისი” აკადემიის ნამდვილი წევრი



ჩვენ პირველები ვართ...

ძალზე გაგვახარა ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის მესვეურთა და მოსწავლეთა ინიციატივამ – 2009 წლის დეკემბერში მათ გამოსცეს შესანიშნავად გაფორმებული ჟურნალი **“ჩვენ პირველები”**, რომლის მიზანია მოსწავლეთა ნიჭის გამოვლენა, საზოგადოებასთან თანამშრომლობა, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის აზრთა ურთიერთგაზიარება. გაზაფხულის ამ მერცხლის გამოჩენისთანავე, ჟურნალის მთავარი რედაქტორი **ქალბატონი ნათია ჯგუშია** ყველას ულოცავს ჟურნალის დაარსებას და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ მის ფურცლებზე მრავალი ღირსეული თაობა დატოვებს თავის კვალს და გაიკაფავს გზას ბედნიერი მომავლისაკენ. სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთ **“ილორის”** რედაქცია სავსებით ეთანხმებიან ქალბატონ ნათიას მოსაზრებას და თვლის, რომ ამგვარი პერიოდული გამოცემების სიჭარბე საზოგადოებას დიდად დაეხმარება ღირსეული პატრიოტებით შევსებაში, რაც თავისთავად შეამცირებს ხელისუფლებაში მოკალათებულ მანქანოთა რიცხვსა და საქართველოს დასაშლელად და საბოლოოდ დასანგრევად დაქირავებულთა ძაღლისხმევას, რაც დიდ საფრთხეს უქადის ჩვენს მრავალტანჯულ მამულს, ენასა და სარწმუნოებას...

აღნიშნული სკოლის დამოუკიდებლობამ, გამჭვირვალებობამ და საჯაროობამ მისცა საშუალება სკოლას, დაერსებინა ჟურნალი, რომლის განხორციელების იდეაც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ **თამაზ თორდიას** კუთვნიან. ასევე დიდი აზრი დასდეს ჟურნალის გამოცემის საქმეს სკოლის დირექტორის პირველმა მოადგილემ ქალბატონმა **ლალი შანაგამ** და თვით სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც შეურჩიეს სახელწოდება **“ჩვენ პირველები”**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟურნალის დაარსების ინიციატორები ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან და ეს მართლაც პირველია საქართველოს სკოლათა შორის, ვისაც დღეიდან საკუთარი პერიოდული საინფორმაციო-ლიტერატურული გამოცემა ექნება.

ჟურნალს დაფუძნებას ულოცავენ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად პენსიონერი **ვალერი კეშელაშვილი**, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **მადონა ჯაბუა**, სკოლის კურსდამთავრებულები ნინელი ჭითანავე, დავით ფიფია, ჯიმშერ შეროზია, თონა ლოგუა, ზუგდიდის მაცხოვრის კარის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (ჯგუშია),

საქართველო

საქართველოს ცა ცრემლად იღვრება, ყოველდღე ტირის კრწანისთან მტკვარი, ეს ჩემი გულიც ისე იმსხვრევა, რომ ვარ კრწანისთან ათასჯერ მკედარი. შორით მოსული წარსულის ექო ის შამქორიდან ბასიანამდე, ეს ბაზალეთი კისრამდე გვეყო და წიწამურთან ვკედებით აქამდე. თითქოს მთაწმინდაც მუხლზე დამდგარა, რომლის საფლავე არ დგას ყირაზე, ყველა დევებიერი ფეხზე ამდგარა სატანების და მტერთა ჯინაზე. ცხირეთს სვენება არარას გვიზამს ჯოხს, რომ მტერს დაეხედეთ მარტყოფის ეკლზე. ხომ ხელავთ, მიწა საოცრად გმინავს და ბორკილს ვიხსნით ორივე ხელზე. წმინდა გიორგი, წმიდათა წმიდა კვლავ გაგვიძღვება დიდგორზე ომად, თამარ დედოფალ მე შენთან მინდა რუსთველს შევეჯიბრო შენდამი ხოტბად.

გიორგი გობეჩია

სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მარინე თირქია, პედაგოგი ნონა გოგინავა და სხვები.

აქვეა დაბეჭდილი მოგონება შესანიშნავ მოქალაქეებსა და პედაგოგებს: ქალ-ლეგენდაზე, სკოლის ყოფილ დირექტორზე ქალბატონ ლუიზა ციმიტიაზე, და ასევე ყოფილ დირექტორზე შოთა ხუბულავაზე, რომელთა ნათელ ხსოვნას მოწიწებით ინახავს არა მხოლოდ სამეგრელოს მრავალი თაობა.

ჩვენ კი განსაკუთრებით გაგვახარა იმ გარემოებამ, რომ ჟურნალის ავტორთა შორის საქმოდ დიდი ადგილი უკავია ჩვენი **“ვეტერანი”** ავტორის, 15 წლის გიორგი (გია) გობეჩიას შემოქმედებას. მისი მოკლე ბიოგრაფია და ლექსები ჩვენ ამას წინათ წარუდგინეთ **“ილორის”** მე-ითხვეულებს. ახლა კი დიდი სიამოვნებით გთავაზობთ ახალგაზრდა შემოქმედის გიგლა გობეჩიას პროზაულ ჩანახატს და თათია ჯიბლაძის წერილს “აფხაზ თანატოლებთან”, რომლებიც გამოქვეყნებულია ჟურნალ **“ჩვენ პირველები”**-ს პირველ ნომერში.

აღამი კე უფლისა

უიღბლო და უცნობი პოეტი აღამი სუსხიან ღამეს გარეთ იყო. ციოდა მაგრამ რა ექნა. აღამს სახლიც ჰქონდა და ნორმალური საშუალებაც, მაგრამ სამი წლის წინ დაეცა მთელი ქონება და ათას სისუღლეში დახარჯა. ესეა იმის კიდევ თავისას...

ზედმეტად მოჭარბებული თავდაჯერება იმის მიმართ, რომ პოტენციური და გენიოსი პოეტი იყო ბავშვობიდანვე მოყვებოდა, მაგრამ აღამმა მხოლოდ თავის პატარა ქალაქში გაითქვა სახელი, როგორც არანორმალური, გიჟოვცა. სხვათა შორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ლექსებს სკოლის ახალგაზრდობა იტაცებდა, მობილურებით ვრცელდებოდა. მისი ლექსები ყველამ იცოდა, რომ ეს აღამი იყო, გვარი კი მივიწყებულა ჰქონდათ...

აღამმა თავისი ქონება იმიტომ დაეცა, რომ ძალიან უნდოდა ღარიბი ყოფილიყო... მისი წარმოდგენით ღარიბი აღამიანი უფრო მეტად მდიდარია სულიერად, ვიდრე შეძლებული... ასევე ამ საქმეში ხელს ისიც უწყობდა, რომ დიდ პოეტთა უმრავლესობა ღარიბ-ღატაკი იყო და თავისი აზრით სწორედ სიღარიბეშია პოეტთა წარმატების საიდუმლო.

აღამი სხვა მგონებისაგან განსხვავებით პაპიროსს არ ეწეოდა. ამას შემდეგი ფილოსოფია ედო საფუძვლად: ჩვენი ცხოვრება იმდენად მოკლეა, რომ არ ღირს უფრო მეტად შევამოკლოთ.

აღამი ყველაფერში პირდაპირი იყო. იგი თვლიდა, რომ: პირდაპირობა აღამიანებს საშუალებას აძლევს ადაპტაციაში ამა თუ იმ საკითხთან და ნაკლებად მტკივნეულია მისი შედეგები ვიდრე არაპირდაპირობის, რომელიც უთუოდ ერთხელ გამჟღავნდება... ამის გამო ზოგს უყვარს, ზოგს არა. რადგან ვის უხარის ყოველთვის სიმართლია მოსმენა. აღამიანს ღამაზი ტყუილი უფრო უხარია ვიდრე საზარელი სიმართლე. აღამი პირდაპირი რომ იყო არინიშნავს, რომ ტყუილები არ უყვარდა, მაგრამ აღამი ამტკიცებდა: ჩემი ტყუილები არავის ენებს. მე ვამბობ ვიტყვები, რადგან პოეტი ვარ და ტყუილების შეთხზვა ჩემი პროფესიაა. უფრო მეტიც, იგი სასარგებლოა აღამიანის სულიერი ჯანმრთელობისათვის. ის კითხულობს ჩემს ნაწერებს. გაოცებაში მოჰყავს საოცარ ამბავს. მერე რა, რომ ტყუილია. იგი მას თავის ცხოვრებაში იყენებს და იმენს გამოცდილებას... ასე რომ, ჩემი ტყუილიც ოდესღაც ვიდაცის ხელში სიმართლედ გადაიქცევა.

აღამს სიყვარულთან დაკავშირებითაც ჰქონდა თავისებური შესხედულება. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ჰყვარებია, ის ამბობდა: სიყვარული ერთი წიგნია და როგორც მოგესხევათ არ არსებობს ისეთი წიგნი, რომ მასში საინტერესო რამ არ მოიძებნოს. მე ვემიჯნები იმ ეპოსურ გადმონაშთს თითქოსდა სიყვარული არაამქვეყნიურია. ღიახაც რომ ასეთი ღამაზი იმიტომია, რომ ამქვეყნიურია. ჩვენ,

წუთისოფლიდან წარმატალი წავალ ოდესმე, მე ის მადარდებს რას დავტოვებ, ხსოვნის ფურცელად, მხოლოდ სამი მსურს, ამ ქვეყნიდან, რომ წავიტანო: ჩემი ლექსები, სიყვარული, თავისუფლება.

აღამიანებმა, უნდა ვისწავლოთ უფლის-მიერი ქვეყნის პატივისცემა. ჩვენ თვითონვე ვიქმნით ჯოჯოხეთს აქ. მოდით ყველამ მოვინდომოთ სიყვარულით და განადგვადიწახე არ შეიძლება შევქმნათ ედუმი...

აღამს თავისი დამოკიდებულება ჰქონდა ომთან დაკავშირებით: ჩარღზ დარვინი ბოლომდე არ ცდებოდა, აღამიანებს მაიმუნის შთამომავლებს რომ უწოდებდა. მე ეს გადატანითი მნიშვნელობით მესმის. განა ომები რაა, თუ არა გადმონაშთი ჩვენი ცხოველური ინსტინქტისა. ერთმანეთის ჭამა და ჩხუბი ცხოველების საქმეა... შესანიშნავი საშუალება – ენა გვიბოძა უფალმა, რომ ერთმანეთისა გაგვეყო. ჩვენ კი ყურები შლამით ამოვივსეთ და ერთმანეთის არ გვესმის... ერთი აღამიანი თუ ერი არასოდეს შეიძლება იყოს ბოლომდე მართალი ან პირწმინდად მტყუანი. მე მოვიტხოვ: მსოფლიო ლიდერები, უკლე-ბლივ ყველა ნაციონალიზმისა და რასისა, შეიკრიბოს და ისე მოიქცენ, რომ ყველა ერთი სიკეთით დამუხტონ. არ გეგონოთ გლობალიზაციის მომხრე ვარ. პირიქით, ჩემზე დიდი ნაციონალი არ მეგულება ქვეყანაზე... აღამს აქაც ჰქონდა თავისი შესხედულება: არ მიყვარს სიტყვა პატრიოტი. არსებობენ საქართველოში ერისკაცები, ჯარისკაცები და სამღვდლოების პირები. მე აშკარად ერისკაცი ვარ...

მოცემული ნაწერებიდან საკმოდ დიდი შთაბეჭდილება შეგიქმნით აღამზე. ის უფრო მეტად ფილოსოფოსი გახლდათ, ვიდრე პოეტი. თავის ერთ ლექსში წერს:

წუთისოფლიდან წარმატალი წავალ ოდესმე, მე ის მადარდებს რას დავტოვებ, ხსოვნის ფურცელად, მხოლოდ სამი მსურს, ამ ქვეყნიდან, რომ წავიტანო: ჩემი ლექსები, სიყვარული, თავისუფლება.

აღამი ძალიან ბევრს ფიქრობდა ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის რაობაზე და ურთიერთდაპირისპირებებზე. უსამართლობად მიიჩნდა ის, რომ არაფრის წაღება არ შეუძლია. თუმცა, იგიც ხომ არაფრით მოვიდა ამ ქვეყანაზე... მაგრამ ბედნიერებად მიიჩნია ის, რომ შეუძლია დატოვოს აქ რამე, აქაური მონაგარი აქვე უნდა დარჩეს, ამბობდა იგი...

უკვდავების საიდუმლო სწორედ ეგ არის – მე და ჩემი ნაწერები ვიცოცხლებთ სხვის ფიქრებში. ადრე თუ ერთი თავი მქონდა, სიკვდილის შემდეგ უამრავის თავში ჩავკერები...

აღამს სწამდა, რომ სიკვდილის შემდეგ უთუოდ დააფასებდნენ, რადგან მიცვალებული უფრო მეტად ფასობს, ამბობდა ის...

აღამი წელს შეყვარებულია, პირველად განიცდის ამ გრძნობას და, აი, როგორ აღწერს მას: ბავშვი ყველაფერს უფროსებისაგან სწავლობს, ეცნობა სამყაროს, ხოლო დიდები სიყვარულს პატარებისაგან ვსწავლობთ, რადგან სწორედ სიყვარულის დროს ემსგავსება ბავშვს და მასავით იქცევა... ჩემი პირველი სიყვარული, პირველი ნანახი თოვლია და მთელი ზამთარი ახალი წელია ჩემთვის... სიყვარული ადრე მარტო ჰორმონები მეგონა, ახლა კი უფალს არა მარტო ფიქრისათვის, არამედ სიყვარულის შეგრძნების მოცემისათვის ვუხდი მადლობას.

სულ რაღაც ორი თუ სამი დღე დარჩა ზამთრამდე. დამეა და ცოცა აღამსაც, რომელიც ახლა გარეთ დგას და თავისი დიდებით არის მთვრალი.

გიორგი გობეჩია

წერილი აფხაზ თანატოლს საღამო, ჩემო ძვირფასო აფხაზო მეგობარო!

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის დაბაბული ურთიერთობაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩემს მეგობრად გთვლი და მინდა ჩვენს საერთო ტკივილზე ისე გულახდილად გესაუბრო, როგორც დიდი ხნის უახლოეს მეგობარს.

ადრე აფხაზეთსა და საქართველოს შორის სამაგალითო ურთიერთობა იყო, მათ ურთიერთობაზე უამრავი ლექსი შექმნილა. ერთ-ერთი მათგანია შოთა ნიშინიძის **“აფხაზური კანტატა”**, სადაც ყველაფერი ნათლად არის გადმოცემული:

“ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა, ჰაუ, ჰაუო გვიყვირია სამეგრელოში... ერთ ცას, ერთ ჰაერს როგორც უნდა, როდი ვაფასებთ, ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს”...

მართლაც რომ ასე იყო. ქართველი და აფხაზი ხალხი ერთმანეთს მუდამ გვერდში ედგა, ეხმარებოდა ჭირშიც და ლხინშიც. როცა ერთს უჭირდა, მეორე მის დასახმარებლად გარბოდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა, თავს არ სთხოვდა ამისათვის. დასანანია, რომ ეს ახლაც ასე არ ხდება და ამაში ორივე მხარეა დამნაშავე. აფხაზიც და ქართველიც. თუმცა, ხელი არ უნდა ჩაიქნით და ფარხმალი არ უნდა დავფაროთ, უნდა ვეცადოთ, ძველი ურთიერთობები განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ.

გარდა საერთო ტკივილისა, ჩვენ, ქართველებსა და აფხაზებს, სარწმუნოებაც გვაერთიანებს. მართალია, არიან სხვა სარწმუნოების მიმდევრებიც, მაგრამ ოფიციალურად ეს ორი ერი მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმდევარია. თანამედროვე აფხაზეთის ქრისტიანობას ადასტურებს ამ რეგიონში არსებული ქრისტიანული არქიტექტურა და სიმბოლიკა.

“აფხაზი გოგონას დღიურში” ერთ აფხაზ გოგონას გადმოცემული აქვს თავისი გრძნობები და განცდები იმ პერიოდში, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის სასტიკი ომი იყო განადგებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ იყო გამბოროტებული, არც ქართველები სძულდა, არც აფხაზები და არც სხვა ეროვნების ხალხი. უყვარდა, ზღიერ უყვარდა ერთიც და მეორეც.

აფხაზეთი განთქმულია ფლორითა და ფაუნით, მართალია მე იქ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ უფროსებისგან გამიგია და სურათებიც მინახავს. მე აღტაცებული ვარ მისი სილამაზით და სიმშვენიერით. გული შემტკივა, რომ ეს უმშვენიერესი ტერიტორია საქართველოს ადარ ეკუთვნის. იმედით მაქვს, რომ ეს აბოპოტრეპული ქარიშხალი როდისმე ჩაღვება, დაკარგულ ტერიტორიებს დაეიბრუნებთ მოძე ხალხთან ერთად, აფხაზსა და ქართველ ხალხს შორის ისევ ძველებურად კარგი, მეგობრული და სამაგალითო ურთიერთობა ჩამოვალიბდება. **“მეგობრობა ცხოვრებას ამკობს. ეს სათუთი ყვავილია, ერთი გაუფრთხილებელი შეხება და ყვავილი დაჭკნება”.**

თათია ჯიბლაძე



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

სერგეი კრემლიოვი

ეს არ გახლდათ თითქმის გამორჩეული ბრალდება. ეს გახლდათ იმ წლებში გაჩაღებული ფარული ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სიტყვამ მოიტანა, და იმასაც აღვნიშნავთ, რომ თვით ზაკოვსკი 1938 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს გერმანელებსა და პოლონელებთან მავნებლური კავშირების გაბმის ბრალდებით. მაგრამ ზემოთმოყვანილი წერილი სრულიად არ აბათილებს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს. უპირველესად, **პსო-ს** მხილებას ახდენდა არა ზაკოვსკი, არამედ ბელორუსი ჩეკისტები. მეორეც, **პსო-ს** განდგურება ხელს აძლევდა გერმანელებს, რათა შეემცირებინათ პოლონელთა გავლენა რუსეთში მიმდინარე პროცესებზე. თავისთავად, ბელორუსიის სრულყოფილი წარმომადგენლის შეტყობინება კომენტარს არ საჭიროებს.

ამასთან, ზაკოვსკი-შტუბისის მიმართ წაყენებული ბრალდება სრულიად არ გახლავთ შეთხზული, მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებას საკმაოდ სახელოვანი რევოლუციური წარსული გააჩნდა. სხვათა შორის, 1987 წელს ხელისუფლებამ აღიარა, რომ მისი საქმის გადასინჯვის საფუძველი არ არსებობდა (მართალია, **“დემოკრატიკულ”** ძალიან სწევრულად შეურისიძებნა, მაგრამ...).

სამწუხაროდ, არც წიგნია რეზინისაგან გაკეთებული და ამიტომ ვერ მოვიყვან იმის სრულ მტკიცებულებებს, თუ როგორ ხდებოდა რიგი ბოლშევიკების გადაგვარება, თუნდაც ისეთ ლოკუმენტს, როგორიცაა ვიდეო **“გ”-ს** ვრცელი წერილი, რომელიც მოსკოვის ქალაქკომში პირდაპირ ხრუშჩოვის სახელზე იყო დაწერილი და მასვე ჩაბარდა. ამ **“კეთილისმსურველმა”** წერილს მოახია მისი გამომგზავნის კოორდინატები და სათანადო ორგანოებს დაავალა მისი გამოკვლევა შემდეგი რეზოლუციით: **“გამოიძიეთ ყველაფერი, მაგრამ ისე, რომ მე ნულად შემაწუხებთ”**.

მოსკოვის საქალაქო კომიტეტიდან აღნიშნული წერილი შინსახკომში მოხვდა. იქიდან კი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ აგრანოვმა სტალინს გადაუგზავნა. მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ ამ საინტერესო ლოკუმენტს (ლოკუმენტი №539, ფურცელი №683) ფონდ **“დემოკრატიის”** კაპიტალურ გამოცემაში — **“ლიბერალთა, სტალინის და საკავშირო ჩეკა-მთავარი პოლიტსამმართველო-შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. 1922 წლის იანვარი — 1936 წლის დეკემბერი”**, რომლის ავტორია ა. იაკოვლევი.

ამ წერილში უამრავი საინტერესო რამ სწერია, მაგალითად, აბელ ენუქიძეზე, რომლის ოცნება იყო **“გამხდარიყო რუსი რუხველები”**, უკმაყოფილებას გამოთქვამდა ძველ ბოლშევიკებისადმი ავადებული დამოკიდებულებით და მოითხოვდა წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერებას, რომლის ორგანიზება დიდად საჭიროდ მიანხდა, და საუბრობდა იმ გეგმის თაობაზე, რომელიც, აბელის სიტყვებით რომ ვთავათ, **“საშუალებას მოგვცემს გადაგვადოთ თვით მისი შუქის დამხრდილავი ოდიოზური პიროვნება”**.

განა საჭიროა იმის განმარტება, თუ ვის გულისხმობდა ენუქიძე ამ **“ოდიოზურ პიროვნებაში”**? მაგრამ კონკრეტულად ვის

გულისხმობდა იგი **“ბეველ ბოლშევიკებში”**? ეს უკვე ჩეკისტებს უნდა დაედგინათ. ასე რომ, ამ ერთადერთ წერილში წარმოქმნილი **“გორდიას კვანძის”** გახსნა და მოწინააღმდეგეთა გამოვლენა კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე, სულაც არ გახლდათ იოლი საქმე და ბუნებრივია, ჩეკისტები თავს არ აიტკივებდნენ კიდევ რაღაც დამატებითი ფაქტოფიციერებული ფაქტების მოიპოვებით. თუნდაც იმიტომ, რომ მათ საამისოდ დრო აღარ რჩებოდათ და აღარც არაქათი გააჩნდათ, რადგან **“ლიბა”** ცნობების შეგროვებას და აკურატულად აკინძვას საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება. ვის სჭირდება ზედმეტი ხლადფორთი და თავისმტკრევა?

ამისთანა უეჭველი და მწვავე მომენტების მიმანიშნებელი ლოკუმენტური მტკიცებულებები კი ამ კრებულში ათეულობით და ასეულობითაც კი მოიპოვება, რაც მკითხველმა ჩემი თხოვნით უნდა ირწმუნოს.

მაგრამ მე ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია ფრინოვსკის ამბის მოყოლა, რომელმაც თითქმის ოპერატიული საქმიანობის მხრივ ბევრად გაასწრო **“უმეცარი”** ექვოს. მე არც ამაში შეპარება ეჭვი. უეჭველია, რომ დახვერვის უაღრესად ფაქიზ საქმეებში ნიკოლოზ ივანეს ძე ექვოვი მყისიერად ვერ გაერკვეოდა, მაგრამ, ერთიანობაში...

ერთიანობაში არც ნიკოლოზ ივანეს ძე ექვოს ჰქონდა მთლად **“კანცელარიის ვირთხის”** ბიოგრაფია!

პუტინოვის ქარხნის კვალიფიციური მუშა ექვოვი, 1915 წლიდან რიგით ჯარისკაცად მსახურობდა ლიდის 172-ე ფეხოსანთა პოლკში, მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში, მძიმედ დაიჭრა და 1916 წელს ღემობილიზაციაში გაუშვეს. იმავე წლის დასასრულს კვლავ გაიწვიეს ახალი პეტერგოვის სათადარიგო პოლკში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ვიტებსკის რკინიგზის სადგურის კომისარია, მოგვიანებით კი პარტიულ სამუშაოზე გადაჰყავთ. ერთი პერიოდი ყაზახეთში იბრძოდა ბასმაჩების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის საადრიცხეო განმანაწილებელ განყოფილებასა და პარტიული კონტროლის კომისაში მუშაობა მას თანდათან აახლოებდა ჩეკისტურ საქმიანობასთან. მისი **“პატრონისა”** და პროტექტორის მოსკოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ექვოს თითქმის ყოველთვის დაღატოვდა ზომიერების გრძნობა — მუდამ ინერციით მიიწვედა წინ და თავშეკავება და დამუხრუჭება უჭირდა. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ისეთი აკურატისტები, როგორიც ექვოვი იყო, პირიქით, ვერასოდეს აღწევდნენ საქმის შუაგულში.

მისი საჯარო გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერები კი მეტყველებენ ავტორის ნიჭსა და კომპეტენტურობაზე (აღსანიშნავია მისი გამოსვლა კე ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის თებერვალ-მარტში, რომლებიც დამაჯერებლად ავსებენ ჩემს მიერ ნიმუშად მოყვანილ **“გ”-ს** წერილს). და მაინც, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში გასატარებელი კონსტრუქციული გარდაქმნების სტრუქტურაში ექვოვი უიმედოდ გაიხლართა, ისევე, როგორც იგი გაიხლართა საკუთარ ცხოვრებაში.

ამიტომ, 1939 წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში უამრავი რამ უნდა შეცვლილიყო, ასევე — უამრავი ხალხიც. უპირველესად, 1937-1938 წლების **“ოპერაციათა”** მიმდინარეობამ, ასე თუ ისე, მრავალი მხრივ გამოავლინა შინსახკომის სისტემაში საქმიანობისათვის უვარგისი უამრავი თანამშრომელი. მათ შორის ასევე ბევრი იყო საუკულო პერსონაჟიც...

იგივე ფრინოვსკი, ბერიას შინსახკომში მოსვლიდან, მალევე გაანთავისუფლეს სამ-

სახურიდან, მაგრამ დააპატიმრეს მხოლოდ 1939 წლის 6 აპრილს (დახვერება კი საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ — 1940 წლის 8 თებერვალს მიუსაჯეს). მისი დაპატიმრების მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ფრინოვსკიში ჯერ კიდევ მძლავრად გიზგიზებდა ავანტურისტული ნაპერწკალი. იგი მაშინ არ გახლდათ **“ბეველი ბოლშევიკი...”**

და კიდევ იაგოდა-ექვოვის დროინდელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის კიდევ ერთი მოადგილე — იაკობ აგრანოვი. ისტორიკოსი გენადი კოსტრჩენკო თავისი საინფორმაციო ხასიათის წიგნში **“სტალინის საიდუმლო პოლიტიკა”** უამრავ ღვარძლს ანთხევს სტალინისა და ბერიას მიმართ და **“დასტურებს”**, რომ აგრანოვი იმსხვერპლა სახალხო კომისრად ახლად დანიშნულმა ბერიამ. ეს წინასწარშეგნებულად შეთითხნილი ბინძური ცილისწამებაა, რადგან აგრანოვი დააპატიმრეს 1937 წლის 20 ივლისს, გასამართლდა უმადლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ, 1938 წლის 1 აგვისტოს მიესაჯა დახვერება და განაჩენი იმავე დღეს იქნა მოყვანილი სისრულეში. ბერია კი მოსკოვში გადაიყვანეს მხოლოდ 22 აგვისტოს — ამ ამბიდან ზუსტად სამი კვირის შემდეგ.

ფიქრობ, რომ გენადი კოსტრჩენკოს მიერ შემთხვევით არ არის დაშვებული ეს უზუსტობა. სწორედ ასეთი ფაქტების ჟონგლირებით იქმნებოდა ბერიას, როგორც **“სისხლით გაუმძაღარი ჯალათის”** სახე, კოსტრჩენკოს მონოგრაფიას ხომ სოლიდური ნაწარმოებთა შორის უკავია ადგილი — იგი გამოშვებულია მოსკოვის გამომცემლობა **“საერთაშორისო ურთიერთობათა”** მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით (რუსეთის ებრაელთა კონგრესის ფინანსური მხარდაჭერით).

აგრანოვის პიროვნებაზე მოპოვებულ საბუთებში არსად მოიხსენიებენ, რომ ვიდრე 1925 წელს იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდებოდა, 1912 წლიდან იგი იყო ესერთა პარტიის წევრი, 1919 წელს იყო სახკომსაბჭოს მდივანი, 1921 წელს კი მცირე სახკომსაბჭოს მდივანი. სწორედ ესერულმა წარსულმა და ბოლშევიკურ **“ელტაში”** ტრიალმა გაუჩინა აგრანოვს მზარდი პოლიტიკური ამბიცი.

ამრიგად, ბერიას საქმიანი ურთიერთობა უწევდა არა ყოფილ ექვოვლებთან, არამედ იაგოდებლებთანაც, რომლებიც შინსახკომში მოვიდნენ მაშინ, როცა ტროცკისტები იხსდნენ არა ციხეებში, არამედ მაღალ სახელისუფლებო კაბინეტებში.

სამაგიეროდ ექვოვის დროის **“ახალწვეულები”** ბერიას ხელში დაგვაკაცდნენ, გაიკაენენ და უნარიან მუშაკებად ჩამოყალიბდნენ. მათ განათლების სათანადო ღონეც გააჩნდათ. თავის დროზე ჩვენ გავცენდებით ვიტალი პავლოვს — ოპერაცია **“თოვლის”** მონაწილეს. ის და მისი ათასობით თანატოლი შინსახკომში მივიდნენ ექვოვის დროს ციმბირის ავტოსაგზაო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. იგი არაფერს დაუპატიმრებია. პირიქით — აწინაურებდნენ ხოლმე.

ბერიაზე საინტერესო წიგნის ავტორი ელენა პრუდნიკოვა წერს (მართლაც, ოცდაათიანი წლების მოგვინათა თაობაზე): **“რას წარმოადგენს იმ დროის ტიპური ჩეკისტი?... თითქმის ყველა დონეზე, ქვემოდან ზემოთ, ჩეკა გადაესებული იყო ნახევრადგანათლებული კადრებით, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა ამოატივტივე. ასე მაგალითად, ცნობილ ზაკოვსკის ორი კლასის განათლება ჰქონდა, აგრანოვს — 4 კლასის... ესენი იყვნენ გაუნათლებელი, სასტიკი, უპრინციპო ავანტიურისტები...”**

ვიტალი პავლოვის და მისი ამხანაგები აშკარად ვერ სხდებოდნენ ამ სქემაში. **“მაღალი ეშელონებისა”** კი რა მო-

გახსენოთ...

ჩემის აზრით, აქ პრუდნიკოვა გადაძალა ბერიას **“რანდად”** წარმოჩენის სურვილმა მისი **“სასტიკი”** და **“უღმბოვლი”** წინამორბედების ფონზე და იგი არც თუ კრიტიკულად მიუღვა მოგვიანებით შექმნილ კრიტიკულ დახასიათებებს იმ გამორჩენილი ჩეკისტებისა, რომლებიც საქმიანობდნენ საკავშირო ჩეკას, პოლიტსამმართველოს და პირველი შინსახკომის რიგებში. განა სწორედ ეს დახასიათებები არ მახინჯდებოდა შემდგომში?

იგივე აგრანოვი ძალიან კარგად იცნობდა ავერბახს, მანდელშტამს, პილინიკს, ბრიკებს, მაიაკოვსკის... ახლა ზოგჯერ ამტკიცებდნენ, რომ ამ უკანასკნელის **“თვითმკვლელობაში”** აგრანოვის ხელი ერია და, უფრო მეტიც, თვითმკვლელობის ორგანიზატორი იგი იყო. ეს გამორიცხებული არ არის, ისევე, როგორც გამორიცხებული არ არის მიაკოვსკის თვითმკვლელობაში ავერბახისა და ოსიპ ბრიკის მონაწილეობა. მაგრამ, აგრანოვი არ შეიძლება მივიჩნიოთ უმეცარ და რუს ადამიანად. მის ბუნებაში იღო **“მეორე ძირი”**, მაგრამ, როგორც პიროვნება, იგი აშკარად არ გახლდათ არაორდინალური. ვისაც სურს, რომ ეს მტკიცებულება ირწმუნოს, თვალი გადაავლოს აგრანოვის მიერ დაწერილ მრავალგვერდიან ნაშრომს: **“1918-1919 წლებში კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მოქმედებათა მიმოხილვა”**, რომელიც სრულად შევიდა **“საკავშირო საგანგებო კომისიის წითელ წიგნში”**. ღმერთმა ყველა სახელმწიფოს მისცეს ისეთი **“უმეცარი”** მოსამსახურე, როგორიც ამ მიმოხილვის 26 წლის ავტორი იყო.

და ნუ დაგვავიწყდება — ანტონ მაკარენკო, დიმიტრი მელვედევი, ალექსანდრე ლუკინი, გიორგი ბრიანცევი და მწერალ იური გერმანის ნაწარმოებები გმირები ივანე ლაპშინი და ალტუსი — ოციანი წლების ჩეკისტები იყვნენ. ასე რომ, ბერია და მისი **“ახალწვეულები”** მოვიდნენ არც თუ უნიჭო და უმეცარი ხალხის შესაცვლელად.

უფრო მეტიც! მე არა ვარ დარწმუნებული, რომ თავიდან ბერია სტალინმა მოსკოვში გაიწვია მხოლოდ ექვოვის შესაცვლელად. რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ბერია დაინიშნა არა უბრალოდ საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ, არამედ იგი გახდა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი, რომელშიც შედიოდა გარე დახვერვა. სწორედ შინსახკომის მხვერვაები გაეხვენენ სამჯერ შარში, ვიდრე მათ შეფად ლავრენტი ბერია დაინიშნებოდა.

ჯერ სამშობლოს უღალატა უშიშროების კაპიტანმა გენატე სტანისლავის ძე რეისემ (ნათან მაკის ძე პორეცკი). იგი ბერიას თანატოლი იყო, დაიბადა ავსტრო-უნგრეთში, გალიციაში, გარკვეულად ხნის მანძილზე სწავლობდა ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1917 წელს კი ბოლშევიკებს მიემხრო. პოლონეთში ეწეოდა არალეგალურ საქმიანობას, მუშაობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადაზვერავო სამმართველოში, 1931 წელს გადაიყვანეს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში — უცხოეთის განყოფილებაში. იმყოფებოდა პოლანდიაში, მაგრამ საქმიანობდა საფრანგეთშიც. 1937 წლის ივლისში რეისე გამოიძახეს მოსკოვში, მაგრამ იგი რუსეთში აღარ დაბრუნებულა. ამავე წლის 17 ივლისს ფრანგულ გაზეთებში გამოაქვეყნა სტალინის მამოხილებელი სტატიები და ასევე დიად მიემხრო ტროცკის.

რეისე 1937 წელსვე გაანადგურეს შინსახკომის აგენტებმა ლოზანაში, მაგრამ სტალინი საგარეო დახვერვის მთავარ სამმართველოს უკვე აღარ ენდობოდა.

მებრუღი პოეზიის რაფაელი

გაზეთი “ილორი”
აგრძელებს
ლექსების
ციკლის ბეჭდვას
ცნობილი
ქართველი
პოეტის ღაშა
გახარიას წიგნი-
დან “ირიათონი”
(ბეჭილია-
ნაბორდისა).

თენა რდუო ჩქიმ სიზმარი –
თოლცვ აღმაფაფუდუნი,
ტყაშმაფაში ნგრისი თუმა
ანთასფათი ფხართგნდგნი,,

ოჩოკოჩიშ ჩილამური
ირფელც უჩათ ღაფუნდუნი,
ღიაჩქიმიშ წგრწინუა
სოფელც აკმოკათგნდუნი?!

ბაღანობას ლაკვანხგრემც
ართიანც ქიმვოჩხინჩოლანდი,
ნოცეცხელი გეცენდგნი –
თიზმა ფარას იფხონანდი!

უკულ ბზოჯგნდი დიდ დადია –
ოქრო-ვარჩხილც გიფხნომანდი
ლო თეჯგუა ჭყოლოფაშენ,
ლორონთ, მარდის გიჯლონანდი...

მარა ირფელ ტყურა ყოფელ –
ზღვაშა გინორღვაფილ ქვიშა,
მუთუნც ვაგნორზებუდუ
უგამაგაშ ჭარკონტიშა...

ათაშ შქგრენ-ყუმენულქუ
დუდ ქიმიბლი შქაბორჯიშა,
ჯიშტის გინოჭარუდგ –
ჩხე ყებურიშ ნაბორდისა!

აფხას მუთი გერჭარუნი,
თინა ყოფე კოჩიშ ბელი;

სქან ღაჩხირსგ ვაკარზანცგ
შხვაშ კეეცი ღო შხვაშ აბელი.
ულუს ათვადვარკალუქი
აღმარჩილე მეჭეჭეთი,
ამდღარ დღაშა ჩქიმ მურიცხის
გამკოლაფუ აკა ჭვეთი.

მარა იშენი გურს მიძახუ,
შური ხოლო წგმე ჟღონცგ,
ჩქიმ ოხვამურ ჯვეშ ლაგვანი
ათუყურშუ ბირჯლად ჭყონცგ.

ბირგულც ჭყანა აშაბრზუნი,
დენჯარებუ ოჩო კოცგ,
აგაფასგ ეკვოსქუქგ ღო
წგმე ბელი მემიჯლონცგ.

გოლა ფანდურც გიქუბარდლე
“ოდოია” გიგვობირი,
შორს მალაღურქ ქიმიოთვალც,
გობიბრონდი, შურ მიფხირი.

ჯვეშ ორკოლი ქიფხვამილე,
ქინვოლაფი ხერკეს ღვინი,
ღურელეფცგ შურ ქუშინე,
თელ ღო ღურელ ქგებიშინი.

ჭარა

არკვანიშე გეშამსხუპე,
ქომხუტოლე ჩხე ხურხუშა,
ნირს თუმათგ გაკოფქიტი,
ვეგმონჯირე ჩქიმ ხუჯიშა;

თოლწოხ აწმაკილოთუგქ,
ყურუ მერყუნქ ანთარიშა,
მუ შურდგუმუს აწარინე
სქანნერ უნძე თანთარიშა?!

დიდაშ ძუძუ მიდამლი ღო
სქან მოწინე ტყობ-ტყობიშე;
მუთი ქალმოფურცქინინი,
ირფელ ართო ქობობრდიშე;

ზღვაშ ჩუპაშე მიჯინექგ,
მინშას – ემერ, ცაქვინჯიშე;
სქან ნაჟამას მუშ გემოშა
ვართ აჭარე, ვართ აჭყიშე!

რას ნიშნავდა ცხად-სიზმარი,
ჩემს თვალებს რომ ესეოდა,
ტყაშიმავას (ტყის მეფე) ნისლი-
თმები

ათას ხლართით რომ მხლარ-
თავდა.
ოჩოკოჩის ცრემლი შავად
რომ ღებავდა ყოველივეს.
დედაჩემი რომ კიოდა
მთელი სოფლის შესაყრელად?!

ბავშვობაში რომ მუგუზლებს
ერთურთს შევუწუნებდი,
რომ სცვიოდა ნაპერწკალი –
იმდენ ოქრო-ფულს ვნატრობდი.

მერე ვიყავ დიდ-ბატონი
საჩუქრებით ავსებული.
და ასეთი წყალობისთვის,
ღმერთს მადლობას ვუგზავ-
ნიდი...

მაგრამ თურმე ამაოა,
ყოველი, ვით ზღვაში ქვიშა.
ვერაფერი აღუდგება,
უბედობის ქარბორბალას.

ასე მშიერ და მწყურვალმა
ამ ჟამამდე მოვადწიე,
მაგრამ ჯიშტზე (ძველი თოვლი)
წერებულა
კერიასთან ნაბოღვარი.


კაცს რაც ბეჭზე აეწრია
ის ყოფილა მისი ბელი,
ვერ დაანთებს მის კერიას
სხვისი კევისი და აბელი.

უღელს ვწევდი ცხოვრებისა,
დამნათოდა ვარსკვლავეთი,
დღეია-დღემდე ბედის ვარსკ-
ლავს
აღარ მოსწყვეტია წვეთი.

გული ისევ ისე მერჩის,
სული ისევ წინ მიიწევს,
ხოლო ქვევრი სალოცავი
ბერძნის ქვეშ არს ჩაფლული.

ძალა ჩემი მუხლებისა
ოჩოკოჩსაც შემურდება,
მივსდევ გუთანს, ვხნავ და ვთე-
სავ,
წინ მიმიძღვის გუთნისდელა...

გუშინ ფანდურს ჩამოვკარი,



ოდოია დაგამდერე,
შორს აკენესდა მოლაღური...
გაოცებით ხმა გაგვმინდე.

დოქს დავტაცე ხელი, მერე
ხერკით (ტარდაგებული აყირო)
ღვინო ჩამოვასხი,
გარდაცვლილთა ცხოვნებისა
ვთქვი, ცოცხლებიც ვა-
დღევრძელე.

მუზა (გაფიქვარი)

ჩამიხუტე აკენიდანვე
ჩამითბუნე თბილ უბეში,
შენი თმების მისლში მხევედი,
ვერ დავწევი ჩემს გემოზე.

არ მასვენებ, არ მაძინებ,
ბრმა მიგყავარ ჟინ-ანთართან
(საქონლის მფარველი)
ვინ სულდგმული დაუდგება
წინ შენს ვერაგ არდანდობას.

გამომტაცე დედის ძუძუ,
დამაწაფე შენს მეგრდს ვალად,
რურში რაც კი ჩამწურჩულე –
ყველაფერი მამოღვინე.

ხან ამყურებ ზღვის ჭიპიდან,
ხან დამყურებ ცის ფსკერიდან,
გათვალული – ჩემს გემოზე
ვერცა ვწერ და ვერცა ვმწე-
ვესავ.

კოლხეთის მისტერი

ჟურნალის ეკა ჯაფოშვილის ეს წერილი სამიოდ წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ “დიოსკურიაში”, მაგრამ იგი საინტერესოა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შევთავაზოთ ჩვენს მკითხველებს.

“უბირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფაქტი, რომ აღამიანებმა თავისი ბოლო უშუალო კავშირი სულიერ სამყაროსთან დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინ დაჰკარგეს” (რუდოლფ შტაინერი – “ვარდი-სა და ჯვრის საიდუმლოება”, გვ.3). ვფიქრობთ მნიშვნელოვანი წერილობითი დადასტურებაა ცნობილი ანთროპოსოფოსის და უდიდესი მეცნიერ-ფილოსოფოსის რუდოლფ შტაინერის მხრიდან იმისა, რომ არსებობს ოთხიასწლოვანი ტაბუდადებული ღვთიური საიდუმლოებანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ქართული “ლაზარეს” ოთხი ათასწლოვან მიძინებასთან, ანუ “სიკვდილთან”.

დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია შუა საუკუნეების რწმუნებრივი მოძრაობა და “ვარდისა და ჯვრის სამოს” სახელით ცნობილი მიძინა-

რობა. მათი საიდუმლო საღვთისმეტყველო მოძღვრების საფუძვლებს წარმოადგენს იგავებში ტაბუდადებული საიდუმლო სიბრძნე. მათი სიმბოლიკის ძირითადი ატრიბუტებია ჯვარი და მეწამული ვარდი. აღნიშნული “სამოს” წვერები და ამ საუდუმლოს ზიარებული “ხელდასხმულები” განმარტავენ მეწამული ვარდის სიმბოლოურ და-ნიშნულებას, ხოლო ჯვრითა და ვარდით სიმბოლიზებულ საიდუმლო შინაარსს არ ან ვერ ხსნიან, რასაც თავისი ობიექტური მიხედვით გააჩნია, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი აუცილებელია მცირე კომენტარი გავაკეთოთ ამგვარი მიმდინარეობისა და სამოსების შესახებ.

უნდა გაგახსენოთ, რომ “ლაზარეს სიკვდილის” ოთხი ათასწლოვანი ისტორიის პერიოდში ბევრი სხვადასხვა სახის “ორდენები”, “სამოსები” და სულიერ მეცნიერებაში “ხელდასხმულები” არსებობდნენ, რომელშიც თავიანთ სიმბოლიკურ ემბლემებს და ბეჭდებს ატარებდნენ. მათ შორის ბევრი და უმეტესი ნაწილი ცრუ შინაარსის მატარებელნი და მიზანდასახული “შავი მაგისტრები” არიან, რომელნიც იყენებდნენ უძველესი მისტერიების სიმბო-

ლოების ატრიბუტებს და ქმნიდნენ თავიანთი ძალმო-სილების შესაბამის ემბლემებს – კონფოგურაციულ კომპლექსებს, სახელმწიფო ღერბებს და დროშებს, ასავე სხვადასხვა მაგიურ გამოსახულებებს, რითაც თავიანთი მიზნების შესასრულებელ ენერგეტიკულ ძალებს იკრებდნენ და მსოფლიო ხალხებისა და ერების სამარ-თავად იყენებდნენ. ასეთია, მაგალითად, დღეისათვის კარგად ცნობილი ილუმინატორებსა და თალმუდისტებს დაქვემდებარებული სხვადასხვა სახელებით ცნობილი “სამოსები”, მასონური “ლოჯები”, “ორდენები” და მათი ისტორიული ემბლემა-სიმბოლოები, ისინი თავიანთი მიზანდასახული პროგრამით სწორედ ამ ძალების საშუა-ლებით ახორციელებდნენ მსოფლიოს მართვას. ისინი შე-ნიღბულნი არიან რა მსოფლიოს მშვიდობისმყოფელების და მსოფლიო წესრიგის დამამყარებლების ნიღბით, დე-დამიწაზე და მსოფლიო ხალხებზე თავიანთი მმართვე-ლობით სისტემებს ამყარებენ და ანტიქრისტეს გამეფე-ბას უხსნიან გზას.

ეკა ჯაფოშვილი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგულისხმების საინფორმაციო წიგნის შესახებ



წვენი გაზეთის 52-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი რუსეთში მოღვაწე ქართველ პროფესორ ნოდარ ერიაშვილზე, რომლის წიგნი კულტუროლოგია დასტამბა გამოცემლობა „სამართლიანმა საქართველომ“, რომელსაც ქართველი მაშულიშვილები უდგანან სათავეში.

იმის გამო, რომ არ გაგვანდა სრული ინფორმაცია ბატონ ნოდარ ერიაშვილზე, ვერ მოხერხდა იმის აღნიშვნა, რომ ბატონი ნოდარი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გარდა არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, იგი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის, რომელიც ეძღვნება როგორც ისტორიის, ასევე ეკონომიკისა და იურისპრუდენციის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მისი რედაქტორობით გამოცემულია და თარგმნილია ქართულ ენაზე მრავალი სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია საქართველოში მოღვაწე მეცნიერებსა და სტუდენტებს. მათ შორის არის ისეთი წიგნები, რომელთა ანალოგი ქართულ ენაზე დღემდე არც გაგვანდა, რომ მისი რედაქტორობითა და ავტორობით ქართულ ენაზე გამოიცა შესანიშნავი სახელმძღვანელოები: „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, „რომის სამართალი“, „იურიდიული ფსიქოლოგია“, „კრიმინოლოგია“ და „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია“, რომლის ავტორიც თვითონ გახლავ. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ წიგნებისა, რომლებიც გამოცემილია „სამართლიანი საქართველოს“ ეგიდით გამოიცა.

მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს მისი წიგნიდან „კულტუროლოგია“.

რუსეთის კულტურა XIV-XVII საუკუნეებში

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან იქცევა რუსული კულტურის აღმავლობა, რაც განაპირობა მეურნეობის წარმატებულმა განვითარებამ და პირველმა დიდმა გამარჯვებამ უცხოელ დამპყრობლებზე კულციკოვს ბრძოლაში (1380 წელი). ეს მოვლენა იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის გასათავისუფლებლად თათარ-მონღოლთა უღლისაგან. აღორძინების გზას დაადგა ძველი და განვითარდა ახალი სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის ახალი ცენტრები. აშკარად გამოიკვეთა მოსკოვის წამყვანი როლი, რომელიც იზიდავდა ახალ მაცხოვრებლებს ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში მისი ცენტრალური მდებარეობის გამო, სადაც გადიოდა სამდინარო და სახმელეთო სავაჭრო გზები. მოსკოვმა ითავა მთელი რუსეთის მიწა-წყლის გაერთიანება, გაიზარდა მისი, როგორც კულტურის ერთ-ერთი ცენტრის გავლენა. მოსკოვის მთავრებმა მიიღეს სრულიად რუსეთის დიდი მთავრების ტიტული.

ამ პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ძირითადი თემა იყო – რუსი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მემატიანეში შემოგვინახა „ზათუს მიერ ქალაქ ვლადიმირის აღების ამბავი“, „ამბავი რუსული მიწის განადგურების შესახებ“, „ამბავი ბათუს მიერ რიაზანის დარბევის შესახებ“. მათში მოთხ-

რობილია რუსული ქალაქების განადგურების, რუს მებრძოლთა მამაცობისა და გულადობის შესახებ.

„აღექსანდრე ნეველის ცხოვრება“ გახდა იმ პერიოდის ლიტერატურული ძეგლი. მასში პოეტური ფორმით ასახულია ნევეზე ბრძოლა, ყინულზე სოცვა-ჟლეტა, აღექსანდრე ნეველის (დაახლოებით 1220-1263) დამოკიდებულება ოქროს ურდოსთან და მთავრის სიკვდილი. უმღერა მის გმირობას რუსული მიწა-წყლის სადიდებლად.

„თქმულება ქალაქ კიტეზე“ მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა ქალაქი კიტევი მისი მცველების დაღუპვის შემდეგ უხილავი, რათა მტერს ხელში არ ჩაეგდო. ხანდახან ქალაქი ამოიმართება, როგორც ანარეკლი სვეტლოარის ტბაზე, ამ დროს ისმის ქალაქის ზარების რეკავც.

კულიკოვს ველზე გამარჯვებას მიეძღვნა იმ პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ზადონშინა“ (ბრძოლის ადგილის მიხედვით – ღონის იქით), დაწერილია ისტორიული მოთხრობის ჟანრში XIV საუკუნის ბოლოს რიაზანელი საფონის მიერ. ავტორი მისი თანამედროვე პერიოდის ცხოვრებისეულ მოვლენებს აღარებს „ამბავი იგორის ლაშქრობის“ დროიმდელისას. კულიკოვს ველზე გამარჯვება – ესაა, თითქოს ერთგვარი შურისძიება იგორ სვიაოსლავის ძის მებრძოლთა დამარცხებაზე. ამ გამარჯვებამ კვლავ აღუდგინა რუსულ მიწას დიდება და ძღვენა მოსილის სახელი. კულიკოვს ციკლს მიეკუთვნება „თქმულება მამავეის სოცვა-ჟლეტაზე“ (XV საუკუნის პირველი ნახევარი). ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია მხატვრული გამომსახველობა და იდეულობა. მას აღარებენ „ამბავს იგორის ლაშქრობაზე“ და აყენებენ აღორძინების ეპოქის ევროპის ლიტერატურის შედევრების გვერდით.

ფართო განვითარება პოვა ხუროთმოძღვრებამ, უპირველეს ყოვლისა ნოვგოროდსა და ფსკოვში – იმ ქალაქებში, რომლებიც პოლიტიკურად ნაკლებად იყო დამოკიდებული მონღოლ ხანებზე. XIV-XV საუკუნეებში ნოვგოროდი იყო ხელოვნების, ეკონომიკის და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი. იმ დროს რუსი ხუროთმოძღვრები არქიტექტურაში აგრძელებდნენ ძველ ტრადიციებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა მონღოლთა შემოსევამდე. ნაგებობებში იყენებდნენ კირქვის უხეშად ნათალ ლოდებს, რიყის ქვებსა და ცოტად დენ აგურს. ასეთი წყობა სიძლიერისა და სიმტკიცის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ნოვგოროდელ ხელოვანთა ასეთ განსაკუთრებულ ოსტატობას აკადემიკოსი ი. გრაბერი ასე აფასებს: „ნოვგოროდელის იდეალია – ძალა და მისი სილამაზე – ძალის სილამაზე“.

ახალ ძეგლთა შედგენი და ძველი ხუროთმოძღვრების ტრადიციები გამოვლინდა XIV საუკუნის ტაძრული მშენებლობის არქიტექტურაში. ესაა მაცხოვრის ეკლესია კოვალევზე და მიძინების ეკლესია ვოლოტოვს ველზე (დაინგრა დიდი სამამული ომის დროს). ახალი სტილის ნიმუშებია – თევდორე სტრატელატოსის ეკლესია და მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესია ილინის ქუჩაზე. ამ სტილისათვის დამახასიათებელია ტაძრის გარეგანი მორთულობა, ფასადის შემოკობა დეკორატიული ნიშნებით, სკულპტურული ჯვრებით, ნიშნებითა კი – ფრესკებით. მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესია აგებული ნოვგოროდის სავაჭრო მხარეს, ტიპური ჯვარბუმბათოვანი ტაძარია ოთხ ძლიერ სვეტზე დაყრდნობილი ერთი გუმბათით.

ტაძრების მშენებლობასთან ერთად ნოვგოროდში მიმდინარეობდა მსხვილი სამოქალაქო მშენებლობაც. ნოვგოროდელმა ოსტატებმა გერმანელებთან ერთად ააშენეს გრანიტის პალატა სახეიმო მიღებებისა და სახელმწიფო თათბირებისათვის. ნოვგოროდელი ბოიარები თავიანთთვის აგებდნენ ქვის პალატებს ხის ქერქის თაღებით. 1302 წელს ნოვგოროდში აიგო ქვის კრემლი, რომელიც შემდგომ მრავალჯერ გადაკეთდა.

იმ დროისათვის მეორე მსხვილი სამეურნეო და კულტურული ცენტრი ფსკოვი ქალაქ-ციხე-სიმაგრეს ჰკავდა. ქალაქის შენობების არქიტექტურა იყო მკაცრი და ლაქონური, ყოველგვარ დეკორატიულ მორთულობას მოკლებული. კრემლის

გრძელი ქვის კედელი სიგრძით თითქმის ცხრა კილომეტრია. ფსკოველმა მშენებლებმა შენობის გადახურვის განსაკუთრებული სისტემა შემოქმედეს ერთმანეთში გადაჯვარედინებული თაღებით, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახდა ტაძრის სვეტებისაგან განთავისუფლება. ფსკოველმა ოსტატებმა რუსეთში საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დიდი ზეგავლენა მოახდინეს მოსკოვის მშენებლობაზე.

მოსკოვში ქვით მშენებლობა დაიწყო XIV საუკუნის მეორე მეოთხედში. ამ პერიოდს ეკუთვნის მოსკოვის კრემლის თეთრი ქვისაგან აგებული ციხე-სიმაგრე – ესაა ქალაქის ცენტრალური ნაწილი ბოროვიცკის ბორცვზე მდინარე მოსკოვის მარცხენა სანაპიროზე. 1366-1367 წლებში თავად დიმიტრის (შემდეგ დონელი) ბრძანებით აიგო კედლები და კოშკები თეთრი ქვისგან (კირქვა, რომელიც ჩამოაქროდა მოსკოვის ახლოს მდებარე სოფელ მიანკოვოდან). 1365 წელს აიგო თეთრი ქვის ტაძარი სასწაულმოქმედ მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრთაზე ააგეს ხარების ტაძარი. შემდგომ პერიოდში მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე ააგეს ახალი ტაძრები და სამოქალაქო ნაგებობები.

მშენებლობები მიმდინარეობდა სხვა ქალაქებშიც – კოლომნაში, სერპუხოვში, ზვენიგოროდში. ამ პერიოდის უდიდესი ნაგებობა იყო მიძინების ტაძარი კოლომნაში – ქალაქის ექვსსვეტოვანი ტაძარი მაღალ სადგამზე შეყენებული გალერეით. მოსკოვის დღემდე შემონახული უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლებია – ზვენიგოროდის მიძინების ტაძარი, საეინსტროფსკის მონასტრის ტაძარი ზვენიგოროდის სიახლოვეს, სამება – სერგის მონასტრის სამების ტაძარი, ანდრონიკის მონასტრის მაცხოვრის ტაძარი.

მოსკოვის არქიტექტურის ახალ მიმართულებად იქცა „კუბურობის“ გადაღახვისა და ახალი, სავსეხერხად განლაგებული თაღებით შედგენილი კომპოზიციის მქონე შენობების აგებისაკენ სწრაფვა.

XIV-XV საუკუნეების რუსული ფერწერის, ისევე როგორც ხუროთმოძღვრების ისტორია, გახდა მონღოლთა შემოსევების პერიოდად არსებული ფერწერის ისტორიის ბუნებრივი გაგრძელება. ხატწერა ვითარდება ასევე ნოვგოროდსა და ფსკოვში. XIV საუკუნეში ნოვგოროდული ხატწერა, ფრესკისაგან განსხვავებით, უფრო ნელა ვითარდებოდა. ხატებზე, როგორც წესი, მხოლოდ წმინდანის გამოსახულებას წერდნენ. თუ რომელიმე ხატზე რამდენიმე წმინდანს გამოსახავდნენ, მათ შორის არავითარი შინაარსობრივი ან მოქმედებითი კავშირი არ იყო, ისინი გამოსახუბოდნენ ფორნტალურად, განცალკევებით. ამით აღწევდნენ შემოქმედების ძალას. ნოვგოროდის ამ პერიოდის ხატები ხასიათდება ლაქონური კომპოზიციით, მკვეთრი მხატვრობით, ფაქიზი საღებავებითა და დახვეწილი ტექნიკით.

ხატწერასთან ერთად ძალიან გავრცელებად ფრესკული მხატვრობა – ფერწერა ნესტთან ბათქაშზე წყალში გახსნილი საღებავებით. ამ პერიოდის რუსეთის კედლის ფერწერას „ოქროს საუკუნეს“ მიაკუთვნებენ. XIV საუკუნის ფრესკული ფერწერა გაფორმდა კომპოზიციურად, სივრცობრივად, მასში შეტანილი იქნა პიზაჟი, გაიზარდა გამოსახვის ფსიქოლოგიზმი. ეს სიახლეები განსაკუთრებით გამოვლინდა ნოვგოროდის ცნობილ ფრესკებზე თევდორე სტრატელატოსის ეკლესიასა და მიძინების ეკლესიაში ვოლოტოვს ველზე.

XIV-XV საუკუნეების მხატვართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გენიალურ თეოფანე გრეკს (დაახლოებით 1340-1405 წლების შემდეგ). წარმოშობით ბიზანტიელმა, მან მოიარა მთელი ბიზანტია, ყირიმი, მოხატა ეკლესიები კონსტანტინეპოლში, გალატეში, ქალკედონში, კაფეში (ფილოსოფია). მისი ტალღატი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა რუსეთში. თეოფანე გრეკის ფრესკები, ხატები გაბორონევა მონუმენტალობით, სიძლიერით, სახეთა გამოსახვის დრამატიზმით, გაბედული და თავისუფალი წერის მანერით.

თეოფანე გრეკის შემოქმედებაში რუსეთში ყოფნისას გამოარჩევენ ორ პერიოდს: ნოვგოროდისას და მოსკოვურს. პირველში ის გამოდის, როგორც გაბედუ-

ლი ნოვატორი, მეამბოხე, ქმნის იშვიათი ზემოთაგონების მქონე ნაწარმოებებს. მოსკოვურ პერიოდში კი მისი შემოქმედება ხასიათდება როგორც მხატვრისა, რომელმაც მოიპოვა სიმშვიდე და წონასწორობა.

ნოვგოროდში თეოფანე გრეკმა მოხატა მაცხოვრის ეკლესია ილინის ქუჩაზე. ეს მხატვრობა დღემდე შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. გამოხატული წმინდანები ხასიათდება მკაცრი ინდივიდუალობით, თითოეული ფიგურა ცოცხლობს განსაკუთრებული სიცოცხლით, სავსეა შინაგანი მოძრაობით. თეოფანე გრეკმა თავის პერსონაჟებში ჩააქსოვა ადამიანის სულიერება, მისი შინაგანი ძალა.

თეოფანე გრეკმა მოსკოვში მოხატა ღვთისმშობლის დაბადების ეკლესია ეკედერთან ერთად. ასევე მოხატა კრემლში მთავარანგელოზის ტაძარი, გოროდენელ მოხუც პროხორთან და ანდრეი რუბლიოვთან ერთად მოხატა ხარების ტაძარი კრემლში. ამ ტაძრის კანკელისათვის გათმევნა 2 მეტრზე მეტი სიმაღლის დაფები. თეოფანე გრეკმა მოსკოვში შექმნა სახელწოდებით, სადაც შეიქმნა ხატი ერთ მხარეს ღონის ღვთისმშობლის, მეორე მხარეს კი ღვთისმშობლის მიძინების გამოსახულებით.

ამ პერიოდის კიდევ ერთი გამოჩენილი მხატვარი იყო რუსი იზოგრაფი ანდრეი რუბლიოვი (დაახლოებით 1360/70-1427/30 წლები) – ბერი ანდრონიკეს მონასტრისა (ამჟამად იქ დაარსებულია ანდრეი რუბლიოვის მუზეუმი), სადაც გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. მისი შემოქმედება თვალნათლივ მოწმობს რუსული ცენტრალურიზებული სახელმწიფოსა და მოსკოვის ზეობის პერიოდში რუსული კულტურის სდმავლობას. მის დროს მოსკოვის ფერწერის სკოლა განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. ანდრეი რუბლიოვის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ღრმა ადამიანურობა, სახეთა ამაღლებული ზემოთაგონება, თანხმობისა და ჰარმონიის იდეა, მხატვრული ფორმის სრულყოფილება.

ანდრეი რუბლიოვი მონაწილეობას იღებდა მოსკოვის კრემლის ხარების ძველი ტაძრის, ვლადიმირის მიძინების ტაძრის, სერგი-სამების ლავრის – სამების ტაძრისა და ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის ტაძრის მოხატვასა და ხატწერაში.

თეოფანე გრეკისგან განსხვავებით, ანდრეი რუბლიოვის ხელოვნება სავსეა ამაღლებული, ნათელი განწყობილებით, სულიერი ჰარმონიის მდგომარეობით, გამოხატავს სამყაროს მიმართ სიხარულს, ბედნიერებას, სიმშვიდეს. მისი სტილისათვის დამახასიათებელია ღირსიანი სიმშვიდე, პერსონაჟები უფრო ადამიანურები არიან, ვიდრე თეოფანე გრეკთან.

მის ნაწარმოებთა შორის ყველაზე ცნობილი და შესრულების თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილია „სამების“ ხატი. იგი სვეციალურად შექმნილია სერგი-სამების მონასტრის სამების ტაძრის კანკელისატვის. ხატზე იშვიათი მხატვრული ძალითაა წარმონიშნული ჰუმანურობის, თანხმობისა და კაცთმოყვარეობის ჰუმანიტური იდეა. მოცემულია ზნეობრივი სრულყოფილებისა და სიწმინდის განხორციელებული იდეალი. ღმერთის გამოხატულება მოცემული სამი ანგელოზის სახით, სამივე ფიგურა წარმოადგენს მრგვლოვან კომპოზიციას თასის გარშემო. სულიერი სიწმინდე, გამომსახველობა, სინათლე, სუფთა ტონები, განსაკუთრებით „ცისფერი“, გამჭვირვალე მწვანე, ოქროსფერი, ხაზების ერთიანი რითმი დიდი ძალით ანსახიერებენ ჰარმონიის და სიწმინდის იდეას.

ანდრეი რუბლიოვის შემონახულ ქმნილებებს ეკუთვნის აგრეთვე ვლადიმირში მიძინების ტაძრის ფრესკა თემაზე „ზაშინელი სამსჯავრო“. ტრადიციული გამოხატვისაგან განსხვავებით ანდრეი რუბლიოვის სახეები სავსეა ადამიანურობით, თავისუფალია ყოველგვარი სიმკაცრისაგან. რუბლიოვმა დაწერა რამდენიმე ხატი სერგი-სამების ტაძრის კანკელისათვის. მის ფუნჯს ეკუთვნის ხატები მოციქულ პავლესა და მიქაელის გამოსახულებით. მისი ბოლო ქმნილებაა ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის ტაძრის მოხატულობა (შემორჩენილია ორნამენტთა ფრაგმენტები).

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

გენერალ გოტლებენის სახელი დღემდე აღძრავს ქართველ ისტორიკოსთა სამართლიან გულისწყრომას. ჩვენში ის დაღატაკი და ორპირობის სინონიმად არის აღიარებული. მეითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ ხსენებული მწერალი თავის დროზე თვით რუსეთის ხელისუფლების მიერვე ყოფილა შერისხული. მის შესახებ არსებული ცნობებიდან ირკვევა, რომ გრაფი გოტლიბ-ჰენრიხ გოტლებენი (1710-1773 წწ.) საქსონური წარმომავლობისა ყოფილა. იმპერატრიცა ელისაბედის დროს ის რუსეთის სამსახურში შევიდა, მონაწილეობდა შვიდწლიან ომში და სახელი გაითქვა ბერლინის ასაღებად გამართულ ბრძოლაში. ეკატერინე მეორეს მმართველობისას გოტლებენი პოლიტიკური მოტივით სამართალში იქნა მიცემული. მას ჩამოართვეს ყველა ჩინი და წოდება და გადაასახლეს ციმბირში. მოგვიანებით, კავკასიაში განლაგებულ რუსული არმიის სამსახურში ყოფნისას, ხელისუფლებამ ის შეიწყალა, მაგრამ კვლავ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში გოტლებენი ყოველმხრივ ცდილობდა, სხვისთვის გადაებრალებინა თავისი წარუმატებლობანი. მაგალითად, ახალციხის ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო ის ერეკლე მეორეს ადანაშაულებდა; ასევე იქცეოდა იმერეთის მეფის – სოლომონ პირველის მიმართაც. ამის თაობაზე ეკატერინე მეორე თავის ერთ ქვეშევრდომს (პანინს) წერდა: „ფიქრობ, რომ მან (გოტლებენმა) შეიძლება საქართველოში ჩვენი საქმეები გააფუჭოსო“.

საგულისხმოა, რომ იმპერატორის კარზე გოტლებენს აშკარა დაღატაკი და ედო ბრალი, რის გამოც იგი საბოლოოდ გაიწვიეს საქართველოდან.

იმერეთის სამეფო ტახტზე ასულ სოლომონ პირველს ენერგიული ბრძოლა მოუხდა ოსმალთა დამპყრობლებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეფემ სცადა რუსეთის მთავრობისაგან დახმარების მიღება. 1764 წელს მან თხოვნით მიმართა ალექსანდრე ბაქარის ძეს, რათა მას რუსეთის იმპერატორთან ეშუამდგომლა. 1766 წელს კი, როცა თურქები იმერეთში შემოიჭრნენ და სოლომონ მეფემ თავი მოდინახეს ციხეს შუაფარა, მან ყიზლარის კომენდანტს აცნობა, რომ სრული დამარცხების შემთხვევაში რუსეთს გაემგზავრებოდა. მეფე მას სთხოვდა, რომ ეკატერინე მეორეს პასუხი ეცნობებინა ქართველი არქიმანდრიტის გრიგოლის მეშვეობით, რომელიც მაშინ ოსეთში მისიონერად იყო. გარკვეული დროის შემდეგ თვით არქიმანდრიტი გრიგოლიც გაემგზავრა ყიზლარში სოლომონის თხოვნით, რომ რუსეთის მთავრობას მისთვის თურქეთის ხელისუფალთა წინაშე ეშუამდგომლა.

ეკატერინე მეორეს მთავრობამ კონსტანტინეპოლელ რეზიდენტ ა. ობრესკოვისგან სათანადო ინფორმაცია მიიღო თურქ ხელისუფალთა დამოკიდებულებაზე იმერეთის სამეფოსადმი. ობრესკოვმა შეატყობინა, რომ თურქეთის მთავრობა შეშფოთებული იყო იმერეთთან ბრძოლის წა-

რუმატებლობით: საკუთარ ძალთა რიცხოვნობით სიჭარბის მიუხედავად, თურქეთმა სიამოვნებით მიიღო ერეკლე მეორეს შუამავლობა სოლომონ პირველთან. თურქები დათანხმდნენ სოლომონ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე, მხოლოდ ერთი პირობით, რომ იმერეთის მეფეს ძველებურად ესადა ხარკი, ე.ი. ყოველწლიურად 60 ასული გაეგზავნა. თავის მხრივ, თურქეთი იმერეთს ქვეშევრდომად კი არა, სულთნის პროტექტორატის ქვეშ მეფე სახელმწიფოდ გამოაცხადებდა. რუსეთის რეზიდენტი ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ თურქებს განსაკუთრებით ეშინოდათ საქართველოს საქმეებში რუსეთის ჩარევისა და თანხმობა განაცხადეს ერეკლე მეორესა და იმერეთის მეფის კავშირზე.

მიუხედავად თურქეთთან დახმარებისა, სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ იმერეთისათვის აუცილებელი იყო თურქი დამპყრობლებისაგან საბოლოოდ თავის დახსნა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომ იყო, რომ 1768 წლის ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებისას რუსეთში განსაკუთრებული რწმუნებით გაიგზავნა ქუთაისელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე. როცა ეკატერინე მეორეს კარზე იმერეთის ელჩის ჩამოსვლა გაიგეს, სათანადო განკარგულება გასცეს, რომ ელჩი სასწრაფოდ პეტერბურგს გაეგზავნათ. მიტროპოლიტ მაქსიმეს ელჩობის წვერი არქიმანდრიტი ყიზლარიდან უკან გააბრუნეს და თან გააყოლეს პორუჩიკი ქობულაშვილი (ხვაბულოვი).

ხვაბულოვს ევალებოდა იმერეთში არსებული ვითარების გარკვევა და სოლომონთან მოლაპარაკება. საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ყიზლარის კომენდანტი-სადმი გაცემულ განკარგულებაში ეწერა, რომ ახლა თურქეთთან დაწყებული ომის პირობებში ქუთაისის მიტროპოლიტის ჩამოსვლა დროული იყო.

სოლომონ პირველი ეკატერინე მეორეს სახელზე გაგზავნილ სიგელში რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებასა და სამხედრო თუ სხვა მატერიალურ დახმარებას მოითხოვდა. მეფე აღნიშნავდა, რომ თორმეტი წელია, რაც თურქებს ებრძვის. ამ ხნის განმავლობაში თურქები შეიძჯერ შემოიჭრნენ მის ქვეყანაში და მუდამ დამარცხებული გარბოდნენ.

ეკატერინე მეორეს მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში მიზნად ისახავდა შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და იქ თავისუფალი ნავსნობის უფლების მოპოვებას. რუსეთს თურქეთთან ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თურქეთის ბატონობის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ბალკანელ და კავკასიელ ქრისტიანებს, რომ იგი „იძულებულია“, ებრძოლოს თურქეთს „ქრისტეს სარწმუნოებისათვის“. უფრო მოგვიანებით, ეკატერინე II დიდი ეპიყოფილების გრძნობით სწავდა ვოლტერს, რომ მან თურქეთს ოთხივე მხრიდან შეუტია: დუნიადან, ყირიმადან, მორეიდან და საქართველოდან. ამგვარად, რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებრძოლა. როცა ეკატერინე მეორეს კარზე თურქეთის წინააღმდეგ საქართველოს მონაწილეობის საკითხს იხილავდნენ, რწმენა გამოთქვას, რომ იმერეთის მეფე ამ ბრძოლაში ჩაებმებოდა, მაგრამ ერეკლე მეორეს მონაწილეობას საეჭვოდ თვლიდნენ: ქართლ-კახეთის სამეფო თურქეთზე დამოკიდებული არ იყო და, რუსი პოლიტიკოსების აზრით, ერეკლემ არ მოისურვებდა თურქეთთან განხეთქილებას.

1769 წლის მარტში ყიზლარიდან სოლომონ პირველთან დაბრუნდა არქიმანდრიტი, რომელსაც პორუჩიკი ქობულაშვილიც ახლდა. სოლომონმა განუცხადა მას, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის

დამხმარე ჯარს მიიღებდა. თავისი მხრიდან ის ოცი ათასი კაცის გამოყენას კისრულობდა. სოლომონ პირველმა კანცლერ ნ. პანინისაგან მიღებული წერილი ერეკლე მეორეს გაუგზავნა, ხოლო 26 მარტს თვითონ ქობულაშვილი გაემგზავრა თბილისს.

ერეკლემ სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება: მან გაითვალისწინა ის, რომ რუსეთი თურქეთს უკვე ეომებოდა, ხოლო ირანი, მისი აზრით, ოსმალეთის დასუსტებისა და მის ხარჯზე ქართლ-კახეთის გაძლიერების წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. ფორმალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ირანი, მართალია, ერეკლეს თავის ვასალად თვლიდა, მაგრამ ოსმალეთის წინაშე ყოველთვის როდი აგებდა პასუხს „გურჯისტანის ვალის“ მოქმედებაზე. სუსტი ირანისათვის ამ დროს წაერუების პოზიცია უფრო მომგებიანი იყო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთის წინააღმდეგ ყველა ქართული სამეფოს გაერთიანებული გამოსვლისათვის პირობების მომზადებას.

ქართლ-კახეთის მეფემაც ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. სოლომონ პირველი ომში ჩაება. ის ფიქრობდა, რუსეთის ჯარის დახმარებით დამორჩილების იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალთა დამპყრობლები.

ერეკლე მეორე იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დამორჩილებინა ჭარბელაქანი და აღგვეთა ლეკთა თარეში.

1769 წლის 21 მაისს თბილისში სოლომონ პირველი ჩამოვიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ხვაბულოვს კონკრეტული წინადადებები წაუყენეს და პეტერბურგში ელჩების გაგზავნა გადაწყვიტეს.

ერეკლე ა. ანდრონიკაშვილს აგზავნიდა, სოლომონი კი – დ. კვინიხიძეს. უკვე გაჩაღებული რუსეთ-თურქეთის ომის ფონზე პეტერბურგში თავისი დიპლომატიური საქმიანობა გაშალა მიტროპოლიტმა მაქსიმემ. ის ეკატერინე მეორეს მთავრობას სათანადო ინფორმაციას აწვდიდა და იმერეთში რუსეთის ჯარის გაგზავნას ითხოვდა.

ამის შემდეგ ეკატერინე მეორეს მთავრობამ გადაწყვიტა იმერეთში ოთხასკაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გამოგზავნა, ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვიტა, საქართველოში გამოეგზავნა თავისი ოფიციალური წარმომადგენელი თავადი ანტონ მოურავოვი, რომელიც ვახტანგ მეექვსის დროს რუსეთში გადასახლებული თარხანმოურავების შთამომავალი იყო.

1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან და მოზდოკიდან საქართველოსაკენ გამოემართნენ სპეციალურად შერჩეული სამხედრო ნაწილები 480 კაცის შემადგენლობით. აგვისტოს დამლევს ასკაციანი ავანგარდი გოტლებენის მეთაურობით დარიალის გზით აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა. გენერალმა დაუყოვნებლივ აცნობა ერეკლე მეორეს თავისი ჩამოსვლა, რუსეთის ჯარის გავლის ნებართვა ითხოვა და პირადი შეხვედრა შესთავაზა.

შსამართლობა სასამართლო ლაბირინთებში

პოლიტიკური მოძრაობა „მთლიანი საქართველოს“ ლიდერის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე წლის იანვარში ისე გადაიდო, რომ შემდგომი პროცესის თარიღი ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. ეს პროცესი ქუთაისში მას შემდეგ გრძელდება, რაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აბ-

სურდული ბრალდებით, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის გამო, ოთხი წელი მიუსაჯა. ვლადიმერ ვახანიასთვის, რომელსაც თავისი საბიზნესმენო საქმიანობიდან სოლიდური შემოსავალი გააჩნდა, რაში სჭირდებოდა ლეიბის ქვეშ ავტომატის დამალვა, თუ მოინდომებდა, თავისუფლად შეიძენდა და გაიფორმებდა კიდევ იარაღს; რაც შეეხება ჟურნალისტისათვის ხელის შეშლას, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ხელისუფლება, რომელიც ფეხქვეშ თელავს ჟურნალისტთას უფლებებს, როცა დასჭირდება თვალთმაქცურად ექმნება მათ.

ვახანიას საქმე, დიდი ხანია, გასცდა საქართველოს ფარგლებს. სასამართლო პროცესს აკვირდებოდნენ ევროკავშირის წარმომადგენელი კაპო ენდი და საყოველთაოდ აღიარებული უფლებადამცველები სერგეი კოვალოვი და ერნსტ ჩორნი. „ეს არის პოლიტიკური საქმე, რადგან დაადანაშაულო ვახანია თავისუფალი სიტყვის ხელის შეშლაში, რადგან ეგზოტიკურია. ვახანიას შესახებ ბევრი რამ მითხრეს, საიდუმლოებითაა მოცული თვითონ პასპორტების ჩამორთმევა. ყველა მისი წერილი უპასუხოდ დარჩა. რას ნიშნავს ეს, თუ კი საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს? მე ტელეფონით ვესაუბრე ამის შესახებ ანდრეი ილარიონოვს, რომელიც ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს. მას საკმაოდ დამსახურებული რეპუტაცია აქვს. ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილთან მას პირადი ურთიერთობა აქვს, ამიტომაც ასეთი ჩარევა საიმედოა,“ – აღნიშნა სერგეი კოვალოვმა.

ასეთმა ფართო მასშტაბის რეზონანსმა დააფრთხო ქართველი სამართალდამცველები და ამიტომაც ცდილობენ ახლა თავის დაძვრენას.

ვახანიას ამ უკანონო დაკავებას კიდევ ოთხი პიროვნება „უმისხვერპლა“. მის მეგობარსა და პროკურატურისათვის არასასურველ მოწმეს – თენგიზ კალანდიას ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ბრალდებით 18 წელი მიუსაჯეს. ამ საქმესაც ახლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ვახანიას კარის მეზობელი ჯამბულ ჩიქოვანი ასევე პროკურატურისთვის არასასურველი ჩვენების, ანუ სიმართლის თქმის გამო, მე-7 თვეა, დაკავებულია და განაჩენის გამოტანას ელოდება. კიდევ ერთი მოწმე მინდია მაქცარია კი მიმდევარშია, რადგან იცის, რომ ჩიქოვანის ბედს გაიზიარებს.

ვახანიას ერთ-ერთ ადვოკატს ჯონი ზარანდიას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სხვა საქმის გამო ყალბი დოკუმენტების შექმნის ხელშეწყობის ბრალდებით ოთხი წელი მიუსაჯა. თუმცა ამბობენ, რომ ის ვახანიას ადვოკატობის გამო დაისაჯა.

ასეთია ვლადიმერ ვახანიას გარშემო სასამართლოს ლაბირინთებში შეთხზული უსამართლობანი, თუმცა დაკავებულთა ჭირისუფლები იმედოვნებენ, რომ, ადრე თუ გვიან, სიმართლე იხიშვება.

ლადო ქირია, ზუგდიდი



რას ნიშნავს სიჭყვეა ეუროპა

უნდა ვიცოდეთ, რომ ის, რაც ლათინურ, ელტინურ და სხვა უცხოურ ენებზე იწოდება ეუროპა-დ, მეორენაირად წარმოითქმის **“ოროფა”**-დ და სწორედ ის მეორეა მისი საწყისი ფორმა. საყურადღებოა **“ეუროფა”**-ს იდეისა და გამოხატვის, — აღმნიშვნელი სიტყვის მიმდინარეობის, წარმომავლობის, სადაურობის საკითხი. ეუროფა (ოროფა) იმ მეფის ასულის სახელია, რომელიც, გადმოცემით, კოლხების ერთ-ერთი ნაწილის — პელაზგების ღმერთმა, სახელად **“ძე”**-მ (ზებუნებრივი არსის ძე) ზევსმა გაიტაცა და ჩაასახლა კუნძულ კურატოზე (ამჟამად კრეტა რომ ეწოდება) იმ მიდამოში, რომელსაც კოლხური სახელი **“გორდი”** ერქვა იმაჟამად და **“გორდი”** ჰქვია დღესაც (იქაური სამოგზაური ბიუროს ცნობით). ის კუნძულიც ძირძველი კოლხური მხარეა. იქაურმა მოსახლეობამ ათასწლეულების მანძილზე ერთგულად და სიყვარულით შეინარჩუნა მისი სახელწოდება **“გორდი”**. საყურადღებოა, რომ იმ კუნძულიდან დიდი მანძილით დაშორებულ სხვა კოლხურ მხარეში, კოლხების სამთავროს მმართველი — დაქვრივებული დედოფალი ეკატერინე დადიანიც — აღექსანდრე ჭავჭავაძის ასული ცხოვრობდა ქალაქ **“გორდ”**-ში — სამეგრელოს სამთავროს სასახლეში (მე-19 საუკუნეში) და იქვეა დარქმული ტაძრის ეზოში. კურატო (კრეტას) კუთვნილ ერთ პატარა კუნძულს ამჟამადც ძველი სახელი — **“კოლიხითი”** (კოლხეთი) ეწოდება — წერს იქაური სამოგზაურო დაწესებულების თანამშრომელი (საინტერნეტო განცხადებაში, რომელიც ვიხილე 2007 წლის 9 ივლისს). კარგი იქნება, რომ ტელევიზიით გავჩვენონ კურატოს კუთვნილი კუნძულის — **“კოლხეთის”** მოსახლეობის ხალხური შემოქმედება.

კუნძულ კურატოზე (კრეტაზე) მდებარე ქალაქ ფათის (ფაისთოს) მიდამოში 1908 წელს არქეოლოგმა ლიუჯი პერნიემ აღმოაჩინა ძველთაძველი, თიხისაგან გამოძერწილი, მრგვალი ფირფიტა (რომელიც შემდეგ პროფესორმა გია კვაშილავამ გაშიფრა — **“ილორია”**); ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია **“ფათი”**, იგივე **“ფოთი”**. დიდი ხნის სემდეგ ქალაქ **“ფათი”**-ს (**“ფოთის”**) ოდნავ შეცვლილი სახელით — **“ფაისტო”** — მოიხსენიებდნენ ელინური ტექსტები.

ქალაქ ფათის შემდგომში უცხოელები **“ფესტოს”** სახელით მოიხსენიებდნენ. იქ ლიუჯი პერნიეს მიერ 1908 წელს აღმოჩენილ თიხის **“დისკოზე”** კოლხური ოქრო-დამწერლობის წესით — ოქროს ტვიფართ (ყალიბით) დაბეჭდილია ნახატ-ნიშნებიანი და მარცვლოვანი დამწერლობით შესრულებული ტექსტი — დედა-ღვთაების, ნანაიასადმი მიძღვნილი საგალობელი. ოქროს ტვიფარი (ყალიბი) საუკეთესოა, რადგან მისი ანაბეჭდები უფრო მკაფიოა. ნანაიასადმი მიძღვნილი სიმღერები ამჟამადც ჩვენი მოდგმის, ანუ ჩვენიანების უსაყვარლესი სიმღერებია.

უნდა ვიცოდეთ, რომ კოლხებმა ვუწოდეთ ჩვენს სახელმწიფოს — კოლხეთს **“ქართი”**; მისი განვრცობილი სახელია **“ქართი”**. **“ქი”** კოლხურში ნიშნავს სახელმწიფოს (სამეფოს), ხოლო **“ართი”** ნიშნავს **“ერთს”** ანუ **“ერთიანს”** (ბატონ კუკური ფიფიას ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას ვუძღვნი).

ოროფა კოლხურად სიყვარულს ნიშნავს

აუცილებელია განვმარტოთ ის სინამდვილე, რომ **“ოროფა”** ქართების (ქართულების) მიერ შექმნილი ქართული სიტყვაა (კერძოდ — კოლხურია) და ნიშნავს **“სიყვარულს”** — ადამიანის ყველაზე სათუთ, კეთილშობილ გრძნობას გამოხატავს, რაც კი არსებობს. უკეთ გავიხსენოთ ერთი **თქმულება** (ამ სიტყვის ძირია სამი ათასზე მეტი წლის წინ ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი კოლხური სიტყვა **“თუქუ”** — თქმა, ლაპარაკი), ანუ თქმულება ოროფა-ს ზეგნის მიერ გატაცებისა და მახლობელ კოლხურ კუნძულზე ჩასახლების შესახებ, სადაც



მასთან სამი ვაჟი შეეძინა: უფროსი მინო, ანუ მინოსი იქვე გაიშვიდა და ცოლად ჰყავდა აიეტის ასულის — მედეას და, სახელად **“ფასიფა”**. იმ თქმულებას, უეჭველად, ისტორიული საფუძველი აქვს, ნამდვილად მომხდარ მოვლენას ასახავს; სახელდობრ, უეჭველად წარმოაჩენს იმ ფართოდ გახმაურებულ მოვლენას, რომ ზნეობრივი, კულტურული, ქონებრივი დიდება, სიკეთე, სწორედ მშობლიურ სახელმწიფოში იყო დაუნჯებული და თავმოყრილი. ოროფას სამშობლო, სადაც ცხოვრობდნენ მისი ერის, მოდგმის, ჯიშის ადამიანები, სადაც დაიბადა, აღიზარდა, მოწიფულობის ასაკს მიღწავდა, ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბდა წინაპრებისაგან შთამომავლობით მინიჭებული ეროვნული ნიშან-თვისებებით, არის აია-ს, იმავე, ქართ-ის სახელით ცნობილი ძველთაძველი ერცველი სახელმწიფო. დამატებით, გაცნობებთ, რომ რამდენიმე თქმულებით ცნობილი ლიტერატურული გმირის — **“ორფე”**-ს (ელტინურში ემატება ბოლოსართი **“ოს”**) და ხდება **“ორფოს”** სახელიც კოლხურ სიტყვას **“ოროფა”** (სიყვარული) შეესიტყვება; ის კოლხი შეყვარებული იყო და ამიტომ ტკიბილად ემღერებოდა, რითაც ისე გაითქვა სახელი, რომ მომდევნო ათასწლეულებშიც კი მისი სიმღერების ქება ისმის. ორფე (ორფოსის) სახელის კოლხურ სიტყვა ოროფასთან კავშირი შეამჩნია ნუგზარ კვაშილავამ და დამაკვალიანა.

სიყვარულით

შესმატებილებული მხარე

ოროფას (ეუროფას) ძირძველი კოლხური მნიშვნელობა — სიყვარულით სავსე მხარე — ძველთაგანვე ფართოდ იყო ცნობილი.

დიდი ხნის შემდეგ, უცხოელმა მტრებმა გამოიზნულად გაავრცელეს სხვა მოსაზრება, შექმნეს თქმულება, რომელშიც კოლხების (პელაზგების) ეროვნული გმირი — ზევსი ახვა ეროვნებას მიაკუთვნეს, ამით მოსწყვიტეს მის ეროვნულ ფესვებს და ვითარება გააყალბეს. თქმულების თანახმად, ეუროპა მეფის ასულის სახელია; ის სეუყვარდა ღმერთ ზევსს, გაიტაცა და მახლობელ კუნძულ კრეტაზე — მიდამო გორდში დაასახლა (ყურადღება მიაპყრით ძველთაძველ კოლხურ გეოგრაფიულ სახელწოდებას **“გორდი”**). ზეუსი, დროებით, ღამაზ თეთრ კუროდ (ხარად) იქცა და ოროფას მიუახლოვდა მაშინ, როდესაც ქალი თანატოლებთურთ ტბის პირას სეირნობდა, ხე-მცენარეთა მშვენებით, ჩიტების გამოხდით, ჭიკჭიკით ტკბებოდა. თერთ კურო ჩვეულებრივი ცხოველი გეონათ. ოროფა ზღვის ნაპირთან მშვიდად წამოწოლილ კუროსთან მივიდა, მის ზურგზე ჩამოჯდა. კურო ნენელა წყალში შევიდა, გასცურა, ბოლოს კი გაფრინდა კუნძულ კრეტასაკენ. ქალი გაიტაცა და ახლობლები დაუნაღვლიანდა. ოროფას მამა შემოვითდა, ასულის საძებრად ვაჟიშვილი, სახელად **“კილიხი”**, გაგზავნა და ოროფას გარეშე დაბრუნება აუკრძალა. იმ

ვაჟის სახელი **“კილიხი”** — ათასწლეულების მანძილზე ეწოდებოდა **“დიდი ზღვის”** (ამჟამად **“ხმელთაშუა ზღვა”**) ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ერცველ მხარეს (კილიხი-კილიხია-კილიკია-კილიხეთი-კილიხეთი). დის საძებრად გაგზავნილი ვაჟკაცი, სახელად კილიხი, — რადგან მამის დაგალებს ვერ შეასრულა — დაივდარ იპოვნა, შინ ვეღარ დაბრუნდა. კილიხის მხარე ანუ კილიხია ძირძველი კოლხეთი ანუ **“ქართი”** არის. ოროფას, კუნძულ კრეტაზე — გეოგრაფიულ მხარე **“გორდში”** ცხოვრობისას შეეძინა სამი ვაჟი. უფროსის სახელია მინო (მინოსი); ის შემდგომში კუნძულ კრეტას (სადაც დაიბადა და აღიზარდა) მეფე გახდა; თქმულების მიხედვით, ოროფას შვილთაშვილია დეეკალიონი. დეეკალიონის შვილია პრომეთე, რომელსაც, ჩვენებურად, ამირანი ეწოდება. ლურსმული დამწერლობის მონაცემებით, სიტყვა **“ამირანი”** დაკავშირებულია ცნებებთან: **“იხილა”**, **“ინახულა”**, **“მოწმე”** (სასამართლოში). დეეკალიონის სახელის ასხნა ქართველური მასალის საფუძველზე შესაძლებელია. განსაკუთრებით საყურადღებოა დეეკალიონის შესახებ თქმულებაში ის მონაკვეთი, რომელშიც მამამისი (ღმერთი) ამცნობს მოსალოდნელი დიდი წყალდიდობის შესახებ და ასწავლის თავის გადარჩენის საშუალებას. დეეკალიონი ცოლითურთ გადარჩა და მისი მოდგმა იმ არემარის ძირძველი მოსახლეობა, თუ თქმულებას ვენდობით. კიდევ უფრო ძველია სხვა თქმულება, კერძოდ, ქართველთა მოდგმის მოსახლეობის დვთაება **“ეა”**-ს მიერ თავისი ვაჟიშვილის — ქალაქ ურუქში (ერეხში) მცხოვრები მეფის — მოსალოდნელ წარდგანთან დაკავშირებით გაფრთხილებაზე, მის გადარჩენაზე და მომდევნო ხანის იქაური მოსახლეობის მისგან მომდინარეობაზე. კიდევ უფრო მოგვიანებით, ღმერთის მიერ კაცის გადარჩენა აღიბეჭდა ბიბლიაში. სამიდან უძველესია **ეა**-ს შესახებ ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი, ამჟამად მუზეუმში დაუნჯებული ტექსტი ტიხის ფირფიტაზე. მომდევნო თქმულებები, მისი გათვალისწინებით, გაცილებით გვიან შეიქმნა... ოროფა პრომეთეს, ანუ ამირანის დიდებაა (ბეზიბა). ეს ამბავი ჩვენიანებს ჩვილი ასაკიდანვე უნდა აუფხსნათ, ოროფასადმი პატივისცემა უნდა ჩაუწეროთ...

ოროფა (ეუროფა)

კონტინენტის სახელწოდება

ოროფას (ეუროფას) სახელი, მოგვიანებით, მიეკუთვნა კონტინენტს, რომლის საზღვარი სხვა, მიმდებარე კონტინენტთან მუდამ დავას იწვევდა წინათ. ამჟამადც ის საზღვარი სადავო და დაუდგენელია. მეოთხეულებს ვთავაზობ დაფიქრდნენ იმ საკითხზე, თუ როგორ დავიბრუნოთ ცნება ოროფა (ეუროფა) მისმა (ქალის) თანათესაობა ერმა — კოლხებმა.

ამჟამად ოროფას (ეუროფას) კონტინენტის, მხარის ნაწილად ითვლება რუსეთიც, რომელიც სლავური სახელმწიფოა...

ოროფაში არსებულ თქმულებაშივე, ძველთაგანვე, საყვედურია გამოთქმული მისი სახელით იმ კონტინენტის სახელებისადმი, სადაც არ უცხოვრია და რომელთანაც არასოდეს არაფერი აკავშირებდა. კერძოდ, თქმულებაშივე აღწერილია ოროფას სიზმარი. იმ დღის გარიჟრაჟზე, როდესაც გაიტაცა კუროს სახით მოვლენილმა ღმერთმა ძეუსმა, ოროფას ესიზმრა ორი ცოცხალი ქალი; ისინი ორ კონტინენტს განასახიერებდნენ: ერთი მათგანი — კონტინენტ აზიას, მეორე კონტინენტს კი ჯერ არანაირი სახელი არ ჰქონდა მიკუთვნებული. აზიის კონტინენტის განმასახიერებელმა ქალმა უკვე იცოდა, რომ უსახელო კონტინენტისთვის **“ეუროფას”** დარქმევას აპირებდნენ (ვინ — დაუსახელებელია).

ქალი **“აზია”** გაცხოველებული დაგობდა იმის გამო, რომ ეუროფა (მეფის ასული, ვისაც ეს ესიზმრა) აზიის კონტინენტზე დაიბადა, აღიზარდა და იმ მეორე კონტინენტზე, რომელსაც მისი სახელის მინიჭებას უპირებდნენ, ფეხი არასოდეს არც კი დაუდგამს. ჩანს, თქმულების შექმნისას კუნძულები, მათ შორის კრეტაც, ეუროპის კონტინენტის შემადგენელ მხარედ ჯერ კიდევ არ მოიაზრებოდა. თქმულების თანახმად, ქალების დავით შეწუხებულ ოროფას (მეფის ასულს) გაეღვიძა. ცუდი წინათგანმობით შემოვითებულია ოროფამ სისხამ დილითვე გაისერიანა სასახლის მახლობლად მეგობარ გოგონებთან ერთად — ზღვის ნაპირთან; ყვავილები დაკრიფეს და გვირგვინები დაწნეს. იმ ჟამს-ვე საიდანაც გამოჩნდა თეთრი კურო (ეს სახე მიიღო ღმერთმა ძეუსმა ოროფას მოსატყუებლად და გასატაცებლად).


უკმაყოფილება ოროფას სახელით სხვა, შეუფერებელი კონტინენტის სახელსების გამო, აღბეჭდილია არა მხოლოდ სხენებულ თქმულებაში ოროფას შესახებ, არამედ ისტორიკოს პეროდოტეს (ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნე) მსჯელობაშიც მისსავე წიგნში, რომელსაც **“ისტორიები”** ეწოდება. პეროდოტეს მშობლიური ქალაქი — პალიკარნასი, სწორედ ეუროფას (ოროფას) მშობლიურ მხარეში მდებარეობდა; ჩანს, პეროდოტეს ამიტომ სწყინდა სხვა კონტინენტისათვის **“ეუროფას”** სახელის მიკუთვნება. პეროდოტე წუწუნებდა თავისი ნაშრომის — **“ისტორიების”** მკითხველის წინაშე: მსოფლიოში სულ სამი კონტინენტი — ეუროფა, აზია, ლიბია (კონტინენტ ლიბიას დიდი ხნის შემდგომ ეწოდა **“აფრიკა”**) და სამივეს ქალის სახელი ეწოდება და სავსებით უთავბოლოდო.

პეროდოტეს მოსაზრებითაც, მიზანშეწონილი იყო კონტინენტისადმი ეუროფა-სახელის მიკუთვნება, რადგან მეფის ასულ ეუროფას იმ კონტინენტზე არც კი უცხოვრია. უნდა ვიცოდეთ, რომ ამჟამადც არის მცდელობა კონტინენტს გადაერქვას სახელი **“ეუროფა”** და სხვა სახელი ეწოდოს (იხილეთ ინგლისურენოვანი საინტერნეტო ენციკლოპედია **“უიკიპედია”**-ში სიტყვა **“ეუროფა”**). დავაა იმაზეც, თუ ვინ შეიძლება მიწნულ იქნეს ევროპელად და ვინ არა (იქვე).

როგორც ამ წერილის პირველ ნახევარში აღვნიშნეთ, 2005 წელს ტოკიოში ჩატარდა არქეოლოგთა მსოფლიო ყრილობა. ერთი მოსხენება მთლიანად მიეძღვნა ევროპელობის გათავისების დონეს ამჟამად ევროპად წოდებულ კონტინენტზე. აღინიშნა, რომ იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი არც წარმომავლობით, არც ეროვნული თვისებებით, არც გარეგნობით არ არის ის, რასაც მოიაზრებენ ცნებით **“ევროპელი”**. ამ მიზეზით ვერ მოხერხდა ევროპის მოსახლეობის გაერთიანება — ევროპის გათავისების შინაარსით. პირიქით, იმძლავრა ურთიერთგანკერძოებისაკენ მისწრაფებამ. ამის ნიშნულია გერმანიაში ოთხი სახის ახალი ფულის შემოღება მის ოთხ მხარეში, ქვეყნის შიგნით, მოსახმარად. ის ვალუტა კი არა, **“ვაშერიკაო”**, წერენ სპეციალისტები. ფული **“ევრო”** ზოგ სახელმწიფოში არ უყვართ.

ნათელა ფოფხაძე,
მეკლავარი

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოს-მაღეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

ქერა მხედარი თოფ-იარაღში იყო ჩამოყალიბებული. სატყვეობისა და ხმლის გარდა ზურგზე გადადებული ჰქონდა ორი თოფი, ტყავის ბუდეებიანი, მარჯვენა მხარეს ქამარზე დამბანა ეკიდა, მარცხენა მხარეს—გრძელი ქისა, რომელიდანაც თავი ამოეყო ნიბუხს. აშკარად ეტყობოდა, რომ ყმაწვის კაცს წამოღებული ჰქონდა როგორც თავისი, ისე ბატონის იარაღი. მხედარი თავად ბეკოს ყმა იყო სახელად კოსტა ერქვა. პატარა ზერდაც ცხენზე იჯდა, მარჯვენა ხელით ორი მწვეარი ეჭირა—ფრანგული მუსტაშა და შინგაზრდილი—მერცხალა.

მხედრებს მალე სხვებიც მოემატნენ: იქით-აქით ჯაგებიდან თავი გამოჰყო მონადირეთა გროვამ. სხვადასხვა ფერის ტანისამოსი ეცვათ: ყვითელი, ნაცრისფერი, თეთრი; ყველა კოსტას ტანისამოსის მზგავსად იყო შეკერილი. ზოგს ძაღლები ეჭირა, ზოგს დახოცილი ყურდღელი. ცხენოსანი და ქვეითი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთი მეორეში ირეოდა.

ერთმა ბიჭმა, სახეგაბრწყინებულმა, მწვერის დაჭერილი და გაგუდული კურდღელი თავად ბეკოს ცხენის ფეხებთან დასდო.

— ყოჩაღ, ჩემო პეხუ!— უთხრა თავადმა.— შენმა ფრიალმა დაიჭირა?.

— დიად, ბატონო, ამათა ჰკითხეთ, როგორ უყვლა ყურდღელს; ყურდღელმა მარჯვნივ გადაუხვია, მაგრამ გვიანდა იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადახტა და კურდღელი გადააკოტილა კიდევცა...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ეტყობა, ჩვენი მწვერები მართლა კარგები... მაგრამ ბეკომ ვერ მოასწრო სიტყვა გაეთაყვინა, ისე რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გაისმა წარიღა ხმა მეორე ხმა მეორე ბიჭისა. მონადირენი მიხვდნენ, რასაც იძახდა ბიჭი...

ახალი ყურდღელი გამოაგდეს. საინტერესო იყო ამ დროს ეს თავმოყრილი ხალხი. ყველა რაგაც გამოურკვეველმა გრძნობამ აიტანა. მონადირეთა და მათთან ერთად თავად ბეკოს თვალები აენთოთ, დააიწყდათ ყველაფერი და შურდულივით წინ გაქანდნენ, მწვერები და მონადირენი—ყველანი ერთად საცოდა ყურდღელს გამოუდგნენ, მიდამო საშინელმა, ყურთა-სმენის წამდებმა ყვირილმა მოიცვა. ეს-ლა ისმოდა: „არიქა! არიქა! არიქა!“...

მინდორს იქით სოფელი იწყებოდა და ყურდღელიც სწორედ სოფელში შევიდა. მთელი სოფელი, დიდი და პატარა ფეხზე დადგა, ყველა ყვირილით გამოუდგა ცხოველს. ყურდღელმა ბუჩ-

ქებში შეჰყო თავი, და ორომტრიალი კარგა ხანს გაგრძელდა, რადგან დამალულ ყურდღელს დაჭერა არც მაგრე ადვილი იყო. ბოლოს მაინც გამარჯვება კოსტას დარჩა—მისმა მერცხალამ ამხელა თავი ისახელა.

ხალხი და ძაღლები დაიღალნენ და დასვენება ეჭირებოდათ. თავადი ქვაზე ჩამოჯდა, დიდ კაკლის ძირას; სხვები ზმორებით შემოეხვივნენ და დაჭერილ ყურდღელს შესახებ გააბეს ლაპარაკი. ამ დროს რამდენიმე ცხენოსანიც მოვიდა, რომელთაც ნადირობაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

ახალმოსულთა წინ მწვანე ანაფორიანი მღვდელი იდგა. გრძელი ჭაღარა წვერი გულზე ეყარა, ჭროლა, ჭკვიანი თვალები ჯერ ისევ შავ წარბებს ქვემოდას სახეს უმშვენებდა. მღვდელს უკან მისდევდა პატარა კაცუნია, ასე ოცდახუთი წლისა. ტანთ ეცვა ნახევრად რუს მოხელის ტანისამოსი: ხავერდის არ-შიანი და კოკარდიანი ქუდი, გალსტუხი და სირმა-გადაკერებული ღართი. ახლად-მისულთაგანი ერთი თავადის მოძღვარი იყო, ხოლო მეორე—მდივანი. მათ მისდევდნენ დანარჩენი კარის-კაცნი და მსახურნი. მათს შორის ერთს ხელზე ქორი ეჯდა, ხოხობის საჭერად გაწვრთნილი.

ახლადმოსულნი კაკლის ხეზე ცოტა მოშორებით გაჩერდნენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან, მოუახლოვდნენ თავადს და მოწიწებით გაჩერდნენ. იმანაც ტკბილად თავი დაუქრა.

— გეტყობათ, კარგათ გინადირნით, ბატონო,— მოახსენა მღვდელმა.

— არა უშავს რა. თქვენც კარგ დროზე მოხვედით. აბა, გზას უნდა გაგუდგეთ, ბინამდე კიდევ კარგა მანძილია. ნეტა, რომელი საათი იქნება?—ჰკითხა თავადმა თავის მდივანს.

მდივანმა ოსმალური საათი ამოიღო უბიდან და მოახსენა,—დადამებადღე ორი საათი კიდევ არისო.

— პა, პა, პა!.. როგორ დაგვეგვიანება! შეიძლება, ღამეც გვისწროს გზაში. აბა, ჩქარა გაგუდგეთ გზას!

მწვერები და მონადირეები ამ სიტყვების გაგონებაზე ყველანი ზეზე წამოიჭრნენ და რამდენსამე წუთს შემდეგ ერთს სასოფლო გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს, სულ უკანასკნელი, ოცდა ათის კაცისაგან შემდგარი ქარავანი დაადგა.

2

თავად ბეკო საბახთარს აუარებელი კომლი ყმა ჰყავდა აზნაურებისა და გლეხებისა. თავის მხარეში განთქმულ და გაგლეხიან კაცად ითვლებოდა. მამა-პაპ-

ათა ზნე-ჩვეულებისათვის სიბერემდე ორტის ოდენაც არ უღალატია. დაიბადა თუ არა, ძიძას მისცეს, აფხაზეთში. ძიძა სამს წელიწადს აწოვებდა ძუძუს, ამის შემდეგ ორს წელიწადს კიდევ ისე ჰყვანდა სახლში. მერე საბავშვო უნაგირით შეკაზმულ ცხენზე შესვეს. თან გამოჰყვა ძიძა და მისი ნათესავები და მამის სახლში მოიყვანეს. მამამ შვილის გასაზრდელი ძიძის თხოუმეტი ცხენი, ოცდაათი ძროხა და ორი კომლი მოჯალაზე აჩუქა; მთელი ეს ჯოგი მოჯალაბიანად აფხაზეთის გზას გაუდგა. ხოლო თავადის ერმას ახალი ხანა დაუდგა აღზრდისა.

მშობელთა სახლში მთელი ნახევარის წლის განმავლობაში ბეკო მკელივით სულ ტყისკენ იყურებოდა, არავის ეკარებოდა. უნდა გადასწევოდა ძიძას, ძიძიშვილებთან თამაშობას და შესწევოდა დედამ: მას; აფხაზეთ ენის მაგიერ მეგრული ესწავლნა. საბედნიეროდ, საქმე კარგად წავიდა და შვიდის წლის ბეკო მამამ თავის შინაურ მდივანს, ბერუკა ჯიქიას, მიაბარა წერა-კითხვის სასწავლად.

მდივანი ბეკოს მამის ყმა-აზნაურთაგანი იყო, ჭკვიანი, მიხვედრილი სახის გამომეტყველება ჰქონდა. თმა ნახევრად დაჭაღარებოდა: მეცნიერებამ უდროოდ დააბარა. ზეპირად იცოდა მთელი საღმრთო წერილი, საეკლესიო წესები; სახორციელო შინაარსის მწერლობიდან იცოდა „ვეფხისტყაოსანი“; წაკითხულ ჰქონდა ჩხრუხადის ბერძნული ანწერი, გეოგრაფია და ისტორია ვახუშტისა ხელნაწერი ნაწევრები ჰეროდოტეს, არისტოტელის და პლატონის თხზულებათა. მისი მიდრეკილება საფილოსოფიო წიგნებისა და საზოგადოებრივ სწავლა-მეცნიერებისადმი აისახებოდა, როგორც ეს ხშირად ხდება, მის მახინჯ გარეგნობით. ცნობილია, რომ ბრძენი იშვიათად არიან ამავე დროს ხორციელადაც ღამაზნი. ამიტომ ბერუკა ჯიქიას სიმამხინჯე მის ცოდნასთან ერთად არავის უკვირდა. პატარაობიდანვე საცოდავს სიარულის მაგიერ ფოფხვა-ლა შეეძლო უთოების მსგავს ჯოხების საშუალებით. ამ ხორციელმა სიმამხინჯემ ბერუკა ჩამოაშორა სხვებს, რომელნიც მარტოოდნე მოძრავს და მაწანწალა ცხოვრებას ეწეოდნენ, და ძალაუვნებურად მიაჩნია წიგნის კითხვას. ბატონის სახლში ბერუკა მდივანად იყო; იმას უნდა ეთქვა ყველასათვის, როდის რა მარხვა, უქმედლესასწაული რა დღეს მოდიოდა, აეხსნა სიზმრები, რა დღეს რის გაკეთება შეიძლებოდა და რისა არა, და სხვა.

ბეკო მოუსვენს ანბანს მთელი ანბანს და ისიც ხმა-მადლა გასძახოდა: ან, ბან, გან... ასე იძახოდა, სანამ მთელი ანბანი ზეპირად არ ისწავლა. ზაფხულობით ბეკო კაკლის ხის ძირას იჯდა და იქა სწავლობდა, ზამთრობით — გახურებულ ბუხრის წინ. ანბანის გათავებას შემდეგ ხელში დავითნი მისცეს და დავითნის სწავლა მაშინ გაათავა, როცა წიგნი სადმე მონასტრის სარდაფში მთელის საუკუნის განმავლობაში ნაგდებს და თავგებისაგან დახრულ ხელნაწერს არ დაემსგავსა.

გადიოდა წელიწადები. სწავლების საქმე თანდათან წინ იწევდა. თოთხმეტის წლის ბეკოს მასწავლებელმა, რაც თვითონ იცოდა, იმის ნახევარი ასწავლა, და, ამის გარდა, ბეკომ ისწავლა, რომ მზე-მზის გარშემო პბრუნავს და არა მიწა-მზის გარშემო. მამამ მასწავლებელს გამოუცხადა,—შვილს ახლა კი ეყოფა სწავლაო. მასწავლებელს ძალიან ეწყინა, მაგრამ არც ის შეეძლო, წინააღმდეგი ეთქვა რამე.

ბეკო უკვე ღამაზი, მოწიფული ყმაწვილი კაცი დადგა; უნაგირზე მშვენიერათ იჯდა, ატენებდა უბელო გადარეულ ცხენებსაც; თხოუმეტ ნაბიჯის მანძილზე დანას თოფიდან ტყვიას

ახვედრებდა, ოცდაათზე-კვერცხებს ამტვრებდა, ჰაერში ძერასა ჰკლავდა; მიმინოთი მწერებზე ნადირობდა; ძაღლებით ირმებს, შვლებს, მელისა იჭერდა; შინა-ყმებთან ყოველგვარ მეგრულ სიმღერებსა მღეროდა; თამაშ ბდა აფხაზეთად და ლეკურად დახრიდა თვალებს და წითლებოდა ღამაზ ქალის შეხვედრაზე თამაშობის დროს.

მამამ ბეკოს ერთბაშად შეაწვევტინა სწავლა; ერთბაშადვე, მისთვის არც კი უკითხავს, ისე აიღო და ცოლი შერთო. ცოლად შერთო ერთი ცნობილ თავადიშვილის ერთად-ერთი ქალი და მემკვიდრე მთელის ქონებისა. პატარძალი 25 წლისა იყო. ამდენს ხანს ქალი გაუთხოვრად იმდრო კი არა მჯდარა, რომ უშნო იყო, არამედ იმდრო, რომ დედამა შესაფერ საქმროს ველარ ჰპოულობდა თავადიშვილები; რაც ახალგაზრდა თავადიშვილები იყვნენ, ინგურიდან მოკიდებული სურამამდე, უჭკველად ენათესავებოდნენ ქალს; ძარბებში ბებიის მხრიდან მეფის სისხლი ედგა, ბებიის დედის მხრიდან—მთავრისა; საბახთარები კი, როგორც ვიცით, სამასის წლის წინად გათავადიშვილდნენ, ლიპარიტ დადიანის დროს; ამიტომ ქალის მშობლებს ბეკო თავიანთ შესაფერ სიზეს არ მიაჩნდათ დათუ მაინც ქალი მიათხოვეს, მიათხოვეს იმდრო, რომ ეშინოდათ, ქალი გაუთხოვრად ხელში არ შემოგვაბერდესო.

ჯვარისწერის შემდეგ ბეკოს ცოლი მართა თავის მშობლების სახლში ხუთს წელიწადს ცხოვრობდა და თავის ქმარს მხოლოდ ხანდახან ხედავდა. ბეკო ერთი-ორის დღით თუ მოვიდოდა ცოლურის სახლში სტუმრად. ამასობაში აწეობდნენ მზით ვს, რომელიც სწორეს იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც აღნიშნული იყო მზითვის სიაში. ბეკოს სიმამრს თუ ვინმე კითხავდა, რატომ არ აძლევ სიძეს ქალსაო, თავს იმით იმართლებდა, რომ ერთად-ერთი ქალი მყავს და ასე მალე როგორ მოვიშ როვო. მეექვსე წელიწადს ბეკო ცოლი თავის სახლში წაიყვანა და დიდის ამბიგ გადაიხადა ქორწილი.

ამის შემდეგ ბეკოს ცხოვრებაში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: ოცდაათიანს წლებში ბეკომ მონაწილეობა მიიღო ჯიქების წინააღმდეგ გალაშქრებაში, სადაც თავისი, ასის კაცისაგან შემდგარი, რაზმი ჰყავდა მეგრელებისა, ხოლო ორმოციან წლებში მიწას მიაბარა ჯერ დედა და მერე მამა.

ამის შემდეგ ბეკომ დამოუკიდებლად იწყო ცხოვრება.

მისმა ყმებმა ყველამ იცოდა თავისი მოვალეობა, ჩვეულებით დაკანონებული, და ყველაფერს უკლებრივ ასრულებდნენ. აზნაურები საპატიო მხლებლებად ჰყავდა, აზნაურებივე ჰყავდა მოურავებად, მოლარეთ-ხუცესად, მეჯინიბეებად. მათ ებარათ მარანი და სხვა. გლეხებს მოჰქონდათ სხვადასხვა სურსათი: ღვინო, პირი, ცხვარი, ძროხა და სხვა. ყველამ იცოდა, რა ემართა და თავის ვალს უკლებრივ იხდიდა; მაგრამ რაც ემართა, იმაზე ზეწდებოდა ვერავის გამოართმევდით. მაგალითად, ერთს ოჯახს ემართა ბატონის სასახლეში ზურგიით შეშის ზიდვა. ბეკომ განიზრახა გადასახადი შეემსუბუქებინა და ურემი მისცა, მაგრამ გლეხმა გადაჭრილი უარი უთხრა ასეთ შემსუბუქებაზე,—ჩვენი ჩვეულების წინააღმდეგიაო. „ბატონი ჯერ თავისს ურემს მომცემს,—ამბობდა თავისთვის გლეხი,—შეშის საზიდავად. მერე მეტყვიან—შენს ურმით მიმიტანო, შემდეგ კი ამავე ურმით სიმინდის მოტანას მიბრძაბებს; ეს-კი ჩვეულებად გადამექცევა და მეც ახალი გადასახადი დამეღება—ურმით შეშის ზიდვა. მერე შეშა ისევ მოაგონდებათ და ძველებურათ ზურგიით მიზიდვინებენ“...

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწვევებს
აკადემიკოს კლიმენტი
შელიას წიგნიდან

იბერიადა იწყება კოლხეთით,
კოლხეთშია ქართული და
მსოფლიო ცივილიზაციის
სათავე
ლევან სანიკიძე

ბართლომე სართანია ნაშრომში “ძველი კოლხეთი” წერს: “ყველა ერს თავისი უძველესი წინაპარი ჰყავს. ქართველი ერის უძველესი წინაპრები არიან არაბი ქალები. ქალებმა წარმოშვეს კოლხეთის მეგრელი ხალხი, — სპერული კოლხური გაერთიანებებით, საკუთარი ეროვნებით და სახელმწიფოებრივობით. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ქორთუ ხალხი დასავლეთ სპერულ-კოლხურ ერთეულის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ქორთუ ხალხი და დასავლეთ საქართველოს კოლხ-მეგრული ხალხი, ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანდა — ქართველი ერის სახელწოდებით, ქორთუ იგივე მეგრელია, ასევე მეგრელი იგივე ქორთუ და ქართველია. ძველი კოლხეთი ქართველი ერის ფუძემდებელია”. (ბართლომე სართანია, “ძველი კოლხეთი”, ქურონალი “აია”, №1, 1998 წელი).

სუდანის არაბმა ქალებმა, — წერს ბ. სართანია — ასურეთის საზღვართან შექმნეს დიდი სახელმწიფო, რომელიც მრავალ სამეფოს აერთიანებდა. ქალების ხალხი შედგებოდა რამდენიმე მონათესავე ტომისაგან: ტამალები, ტაბალები, კასკები, მუსკები (მუსკები — გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის “დათა თუთაშისა”), ჰელოხები, კარდუხები, ტიბარები (ყველა აღწერილი აქვს ივანე ჯავახიშვილს) და სხვები.

“ძველი წელთაღრიცხვის 540 წელს ქალებმა ბაბილონი, სირია და პალესტინა დაიპყრეს და წარმოქმნეს დიდი იმპერია” (აკადემიკოსი ბეცოლდი — “სირია და ბაბილონი”). ქალებს საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ.

შემდგომში აღნიშნულმა ტომებმა სახელები იცვალეს: ტაბალები, კარდუხები, მენოხები, ტაბალები, კასკები და სხვები. კოლხურ-მეგრულ გაერთიანებას მიეკუთვნებიან მუსკები, შემდგომში მესხებად იწოდებოდნენ — ივანე ჯავახიშვილი არ ბრძანებს — არ განმარტავს, “თუ რატომ იქცნენ მუსკები საქართველოში მესხებად. დიდ ქალღვრაში შემავალი მუსკებიც მეგრელები იყვნენ”. (ბართლომე სართანია, “ძველი კოლხეთი”, გვ. 47-48).

“მეგრული ქალღვრა ახლო აღმოსავლეთში თავის დროზე ძლიერი სახელმწიფო იყო კულტურითა და სამხედრო ძლიერებით. მეგრულმა ქალებმა მრავალი საუკუნე იბატონეს მეზობელ ქვეყნებზე — ბაბილონზე, სირიაზე, პალესტინასა და იერუსალიმზე. ამრიგად, მეგრული ქალღვრეებერთელა იმპერიის მფლობელი ქვეყანა იყო უძველეს დროში... რომ მეგრული ქალების იმპერია ახლო აღმოსავლეთში იყო პირველ მეგრელთა სიბერით ქვეყანა მიუხედავად იმისა, რომ იგი იმ პერიოდში სატომო სახელად მეგრელს არ ატარებდა” (იქვე).

როგორც აღინიშნა, მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ეგვიპტურ ცივილიზაციას დიდი ხნით წინ უსწრებდა შუამდინარეთის ცივილიზაცია, ხოლო ქალღმერთ ნანას ქანდაკება (შუამდინარეთი) ეგვიპტურ ქალღმერთ იხიდას (შვილით) ქანდაკებას. ასევე მაღონა, როგორც ნანა, უძველესი მეგრული სახელია.

წარღვნის შესახებ ლევენის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი უძველესია გილგამეშის ეპოსი. წარღვნის გმირად ნახსენებია ზისუდრა; გილგამეშის

ეპოსში მოცემული გმირები სუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არარუ, აგრეთვე მაშუს მთა, თვით გილგამეშშიც კი იხსენიან ლაზურ-მეგრულად.

გილგამეშში გამოყვანილია როგორც ენერგიული და გამბედავი ახალგაზრდა მეფე, რომელიც შუმერული და აქადური ეპოსის გმირია.

“ზისუდრა შურუფაქიდან იყო, რომელსაც უპრეტენზიო ქალაქის სახელი ჰქონდა. სწორედ აქიდან შეარჩია ღვთაება ენქიმ შესაფერისი პიროვნება, რომელსაც გაანდო საიდუმლო და დაავალა მოეგროვებინა ყველა ცოცხალი არსება წყვილად, მოეთავსებინა ხომალდში — ბიბლადურ კიდობანში და დალოდებოდა სტიქიას, რომელიც მოვიდა წარღვნის სახით. სტიქია-წარღვნას რადაურჩნენ მხოლოდ ხომალდში მოთავსებული არსებანი. წარღვნის შემდეგ ყველა ცოცხალი არსება ზისუდრამ (ბიბლიურმა ნოემ) გაუშვა თავიანთ გზაზე, დედამიწას შეუნარჩუნა ასამიანის მოდგმის წარღვნამდე არსებული ყველა ცოცხალი არსება” (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ მეგრელთა... გვ.48).

შუმერული მითის მიხედვით წარღვნის მთავარი გმირის ზისუდრას (ბიბლიური ნოეს) სახელი უკვდავი გახდა. ასევე უკვდავი გახდა ქალაქ შურუფაქის სახელიც, სადაც მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა ზისუდრამ წარღვნამდე, წარღვნის დროს და მის შემდეგ. ყველაფერი ამის “შემდეგ ღმერთებმა ზისუდრას უკვდავება უბოძეს და დომუნის ერთ-ერთ კუნძულზე, მდინარის შესართავთან დაასახლეს ცოლით და მოსამზახურით, რომელსაც შუმერული გადმოცემის თანახმად, მხოლოდ გილგამეში ესტუმრა

როგორც შუმერული თქმულებიდან ჩანს და როგორც მეცნიერებსაც დადგენილი აქვთ, წარღვნის შესახებ თქმულება პროტოშუმერებს ეკუთვნით, ე.ი. ბანანური ენის მატარებელ ხალხს. ბიბლიის შემქმნელებს იგი სწორედ შუმერული ლეგენდიად აქვთ გადმოცემული”. ამტკიცებენ, რომ გილგამეშის ლეგენდა დაედო საფუძვლად გმირებს ბერძნებისას — პერაკლეს, რომაელებისას — პერკულესს, ქართველებისას — ამირანს, მეგრელებისას — ვერეხუტს (არამხუტს) და სხვებს. ვერეხუტუ (არამხუტუ) ეომებოდა სამთავიან, ხუთთავიან, ცხრათავიან დევებს და ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს, და ისე ძლიერი და გონიერი, რომ ამარცხებს მათ. “გილგამეშის” და “ვერეხუტუს” სახელები ერთ ენაზე და ერთნაირი ტრადიციებიდანაა წარმოშობილი და ორივე სახელის წარმოშობა ეკუთვნის ლაზ მეგრელებს (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ მეგრელთა... გვ.118).

შუმერული მითოსური კუნძულის სახელწოდება “დილმუნი” ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა. დილმუნიში ქვერთაღები არ არიან, ყვავ-ყორები არ ჩხავიან, ღოთი არავის ერჩის, მგელი ბატანს არ გლეჯს და სხვა. დილმუნი წმინდა და უბიწო ადგილია; აღაპა და შვიდი აფქალი დღესაც იხმარება მეგრულად; ასევე ენქიდუ, სუმბაბა, მარდუკი, ენქიუა და სხვები პირდაპირ მეგრული წარმომავლობის სიტყვებია. შუმერული მითების მსგავსი ზღაპრები მრავლად არის მეგრულ-სვანურში; ძველი ბაბილონის ტერიტორიაზე მცხოვრებსა და ლაზ-მეგრულ (ჭანურ) სალაპარაკო ენაში ბევრი დამთხვევებია (ამაზე ზემოთაც ვილაპარაკეთ და კვლავაც გვექნება საუბარი).

როგორც ითქვა, ცნობილია, შუმერები და პელაზგო-კოლხები ურთიერთშორის დიდ კულტურულ გავლენას ახდენდნენ. ისე, როგორც შუმერები, კოლხები დიდ პატივს სცემდნენ მთავრის ღვთაება “ნანა”-ს. მეგრულად “ნანა”, როგორც ბევრჯერ ითქვა, დედასაც ნიშნავს და მას კოლხები (მეგრელები) განუზომლად თაყვანს სცემდნენ და სცემენ. სამეგრელოს ყველა კუთხეში დედას “ნანა” ჰქვია, და ოთხი თუ ხუთი ათასი წლის წინ ამ ღვთაებრივ “ნანა”-ს ულამაზეს სიმღერებს უმ-

ღეროდნენ: “ნანაია ნანა”, “ნანასქუა”, “დილია ნანა”, “ვოგ ნანა”. ასევე თავიანთი სახელმწიფო “აია”-ს სადიდებლად შეუქმნიათ ეგრისელებს (კოლხებს) ღაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთი ულამაზესი სიმღერები, როგორიც არის “ოლია” — მთავრის ღვთაება “ნანა”-ზე და იგივე დედაზე. ეს სიმღერები შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ეგეიზე. “შუმერებსაც” სიმღერები ჰქონდათ თავიანთ ქალაქ ერეხეთზე და მთავრის ღვთაება “ნანა”-ზე. მეგრელებს აქვთ სიმღერა ქალაქ ერეხეთზე — “ერეხეთი-მერეხეთი”, რომელსაც დღესაც მღერიან.

ესე იგი პელაზგო-კოლხებს-მეგრელებს, ლაზ-ჭანებს, სვანებს აღნიშნულ პერიოდში ახლო ურთიერთობა ჰქონდათ “შუმერებთან”. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჰქონდათ ქალაქ-სახელმწიფო “აია”, ჰყავდათ მეფეები პიპერიონი და ჰელიოსი (ამბროსი კილასონია, ძველი კოლხური... გვ. 71).

ზემოთ აღნიშნული შვიდი აფქალის შესახებ ბადა სოფია წერს: “შუმერული გადმოცემით აფქალები, ღვთაება ენქის ნაშიერები არიან, რომლებმაც ისტორიამდე ზანაში ცივილიზაციის საწყისები შემოიტანეს შუმერის მიწა-წყალზე. შუმერულ და აქადურ ტექსტებში შვიდი აფქალი მოხსენიებულია, როგორც შვიდი ბრძენი... გადმოცემა თელ-ელბიდიის კულტურის შემქმნელ ხალხს ეკუთვნის. შვიდი აფქალი, ე.ი. შვიდი ბრძენი ბანანური ენის მატარებელი ხალხის — ლაზ-მეგრელების ენაზე ყოფილა შექმნილი... შვიდმა აფქალმა შეასწავლა ბანანური ენის ხალხს ყველა ის სიკეთე, რის შედეგადაც წარმოიშვა შემდეგ შუმერული ცივილიზაცია” (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ-მეგრელთა... გვ. 121).

კოლხეთ-“შუმერეთის” ურთიერთობასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვით აღნიშნავთ ბაბილონეთის სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთ საკითხს. შუამდინარეთის სახელმწიფო ბაბილონეთი წარმოიშვა ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. მას ეწოდებოდა “შუმერი და აქადი”. ბაბილონეთის ისტორიის პირველი პერიოდი მოიცავს ძველი წელთაღრიცხვის 1895-1595 წლებს.

ქალაქი ბაბილონი (ბერძნულად ღმერთის კარიბჭე, ძველებრულად სიტყვა ბალად-ის მიხედვით — არევა, მითის მიხედვით — დაუმთავრებელი ქალაქი) შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, რომელიც დააარსეს “შუმერებმა”. ქალაქი ჯერ ემორჩილებოდა აქადის მეფეებს (ძველი წელთაღრიცხვის XXIV-XXII საუკუნეები, ხოლო შემდეგ ურის III დინასტიის მეფეებს).

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე ბაბილონი იყო ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. ძველი წელთაღრიცხვის 539 წელს ის დაიკავა კირის მეორემ, ძველი წელთაღრიცხვის 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა, 321 წელს კი ქალაქს დაეუფლა სელევკი I, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გაასახლა სელევკიაში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2).

აღსანიშნავია, რომ ბაბილონური მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება ძირითადად შემოინახა ასურეთის წიგნსაცავებმა (განსაკუთრებით ასურ ბანიფალის). ამ ლიტერატურიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მითები შუამდინარეთელთა კოსმოგონიურ, კოსმოლოგიურ და თეოლოგიურ შეხედილებებზე. მეცნიერების განვითარების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს ისიც, რომ მზის დაბნელება პირველად ბაბილონში აღწერეს ძველი წელთაღრიცხვის 721 წელს. იმასაც მიუთითებენ, რომ მზის დაბნელება პირველად ჩინელმა ჩუ ბუმ აღწერა ძველი წელთაღრიცხვის 709 წელს. თუ ეს ასეა, ორივე აღმოჩენა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომხდარა. (გაზეთი “ახალი თაობა”, 2007 წლის 17 ივლისი, №194).

ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულში გაჩნდა სტილიზებული

გამოსახულებით შემკული თიხის საკულტო ჭურჭელი, თიხის სტატუები, ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო ტაძრების ინტენსიური მშენებლობა, — აღნიშნავს პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

ქართულ ენციკლოპედიაში მითითებულია: III ათასწლეულის შუა ხანებიდან მეტალურგიაში უკვე ცნობილი იყო ჩამოსხმა, კვერვა, ჭედვა, ოქროსა და ვერცხლის მავთულის დამზადება. სწორედ რკინისა და ფოლადის (მეტალურგიის) პირველი აღმოჩენები კოლხურ ტომებში ხალიბებში იყო. კოლხეთში III ათასწლეულის შუა ხანებში მეტალურგიულ წარმოებას საფუძველი ჰქონია ჩაყრილი.

როგორც ჩანს, სამეთუნეო ჩარხის გამოგონება, რომელიც კაცობრიობის უდიდესი მოწაპოვარია, ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ეკუთვნის.

ქვედა მესოპოტამიის სამხრეთით ბრინჯაოს ხანას საფუძველი ჩაეყარა ძველი წელთაღრიცხვის 2800-2700 წლებში. ბრინჯაო მიღებულია სპილენძისა და კალის შენადნობისაგან, რომელსაც შუმერული ლექსიკონით “ზიმბარი” ეწოდება. ეს ტერმინიც ეკუთვნის ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ლაზ-მეგრელებს და უძველესი, რომ ბრინჯაოს შენადნობის დამუშავების ტექნოლოგიაც ეკუთვნის ამ ხალხს.

ასევე რკინის აღმოჩენის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. რკინის გადამუშავების ტექნიკური პროცესი გასაიდუმლოებული იყო ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლომდე. რკინის აღმოჩენა და დამუშავება ხდება შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიაზე — ფარნაკიაში. ამ ხალხს ადრე შექმნილი ჰქონდათ ლითონის, ოქროს, ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგია და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკაცობრიო საქმეები. სტრაბონის თქმით, ხალდეები — ხალიბები უფრო ადრე მეგრელებად მოიხსენიებოდნენ. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს შუმერის ცივილიზაციისათვის საჭირო ნიადაგი და თვით შუმერის ცივილიზაცია.

ბანანურ ენაზე მოლაპარაკე მეგრელებს ვრცელი ტერიტორიები ეკავათ ქვედა მესოპოტამიის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, მესოპოტამიის აღმოსავლეთში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, ვანისა და ურმის ტბების მიდამოებში. ამ ხალხს “საკაცობრიო მნიშვნელობის ცოდნა რამდენიმე ათასწლეულების სიღრმიდან მოჰყვებოდა... დღეს მეცნიერების მიერ დადგენილი ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ბანანური ენის მატარებლის ნამოღვაწარის საფუძველზე” — წერს ბადა სოფია” (ბადა (ნეგუსი) სოფია, ლაზ-მეგრელთა... გვ. 199-200).

კლიმენტი შელია
აკადემიკოსი,
დამსახურებული მოღვაწე.



აფხაზეთისთვის და ქართველთათვის ერთნაირად საყვარელი ადამიანი

სიმართლე გითხრათ, სედას მგერი-
და ის ამბავი, რომ აფხაზეთის
ხელისუფლება ქუჩებსა და დაწესე-
ბულებებს ქართულ სახელებს უცვლ-
იდა, რაც ყოველთვის ჩვენი ერთო-
ბლივი მდიდარი წარსულის წაშლის
მცდელობად მესახებოდა. ერთადერთი,
რამაც გამაზარა, იყო ის, რომ სოხუმ-
ში ერთ-ერთ ქუჩას დიდი აფხაზი მეც-
ნიერის სიმონ აშხვაცაძის სახელი
უწოდეს. მიგვხვდა, რომ ყველაფერი
დაკარგული ჯერ კიდევ არ არის,
რადგან არსებობენ ის აფხაზი და
ქართველი მამულიშვილები, რომელთა
ხსონაც ერთნაირად ძვირფასია რო-
გორც ქართველებისათვის, ისე აფხ-
აზეთისათვის. ძნელია იმ მწარე წარ-
სულის დაიწვევა, როცა უამრავ
ადამიანს მოუწერაფა სიცოცხლე
ძმათაშორის ატეხილმა უაზრო ომმა,
რომლის ზღვარზეც აფხაზები და
ქართველები ორივე ხალხის
მოღალატე არაკეთილსინდისიერმა
ვაი-პოლიტიკოსებმა წამოიწვეს, მა-
გრამ უკანდასახევი გზა მოჭრილი
გვაქვს, რადგან უკან სიარული იმ-
ოლოდ დაგვაშორებს ერთმანეთს. ჩვენ
წინ უნდა ვიაროთ, მხოლოდ წინ, და
მაშინ აუცილებლად შევხვდებით ერთ-
მანეთს, თვალბეჭედი ჩაგხვდავთ, მოგეფ-
ერებით დიდი ხნის უნახავ მონატრულ
ადამიანებს და შევეცდებით, რომ ერთ-
მანეთს მწარე შეცდომა მივეუბნოთ.
სწორედ ამ საქმეს მოემსახურება
დღეიდან ჩვენი გაზეთის ახალი
რუბრიკა “აფხაზეთის ღირსიული
შვილები”. ამჯერად გთავაზობთ წერ-
ილს შესანიშნავ ადამიანზე, დიდ აფხ-
აზ მეცნიერსა და მამულიშვილზე
სიმონ აშხვაცაძეს.

სიმონ აშხვაცაძე გუდაუთის რაიონის
ულამაზეს სოფელ ლიხნში დაიბადა. იგი
თავადთა საგვარეულოს წარმომადგენელი
გახლდათ – “აშხვაცი” თავადური გვარია,
დაბოლოვება “ვა” მოგვიანებით მიამატეს...
მისი ბებიებიც თავადის ქალები იყვნენ,
დღევანდელ... ლაქერბაის, ინალიფას, შარვაშიძის
შთამომავალნი.

სიმონ აშხვაცაძემ ქართული ენა არ
იცოდა – სულით და მსოფლმხედველობით
აფხაზი იყო.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მისი
სტატია, რომელიც ეხებოდა საქართველოსა
და აფხაზეთის ერთიანობის საკითხს,
ხშირად ხდებოდა ხოლმე ცხარე კამათის
საგანი მეცნიერთა შორის. სიმონ აშხვა-
ცაძე ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ,
რომ აფხაზეთს მხოლოდ წინ ევლო...

სიმონს ტარტუს უნივერსიტეტი ჰქონდა
დამთავრებული, რაზედაც იმ პერიოდში
ბევრს ნატვრაც კი არ შეეძლო. იგი გახლ-
დათ პირველი აფხაზი ენათმეცნიერი და
არქეოლოგი.

სიმონ აშხვაცაძე ნიკო მართან და ივანე
ჯავახიშვილთან ერთად მუშაობდა და მეც-
ნიერული ანალიზით დაასკვნა, რომ არა
მარტო აფხაზებს, მთელ ჩრდილოეთ
კავკასიას დამწერლობად ქართული ანბანი
უნდა ჰქონდესო. ასე არც ერთი ანბანი არ
უხდება კავკასიურ ენებსო, აცხადებდა
დიდი აფხაზი მეცნიერი. ერთი პერიოდი ეს
საკითხი გადაწყვეტილადაც კი ითვლე-
ბოდა. სიმონ აშხვაცაძე ოცნებობდა, წა-
სულიყო შვეიცარიაში, დაემზადებინა
შრიფტი და სოხუმში ჩამოეტანა... მაგრამ,
როგორც ჩანს, ქართულ-აფხაზურ ძმურ
ურთიერთობებს მომტერო ელემენტები
არასოდეს აკლდა, რომელთა მცდელო-
ბითაც აფხაზური ლიტერატურული სიერ-
ციდან განიდევნა ქართული, რომელიც
ჩანაცვლა სლავურმა ანბანმა. ეს კი კიდევ
ერთ დაბრკოლებად შეიქმნა აფხაზეთისა
და ქართველების საუკუნოვანი მეგობრო-
ბა-ნათესაობისათვის.

სიმონ აშხვაცაძემ სოხუმში დააარსა

ორი ინსტიტუტი, სადაც ბუნებისმე-
ცნიერებასა და ენათმეცნიერებას ასწავლ-
იდა. მართალია ერთ სისტემაში მუშაობდ-
ნენ, მაგრამ სიმონი ნესტორ ლაკობას ბევრ
საკითხთან დაკავშირებით უპირისპირდე-
ბოდა და ყოველთვის ინარჩუნებდა
დამოუკიდებელ აზრსა და შეხედულებას.
სიმონი ლიტერატურულ საქმიანობასაც
ეწეოდა – დაწერა ორი პიესა აფხაზეთის
ცხოვრებაზე – “საფარ ბეი” და “ომარ ბეი”,
რომლებიც სოხუმის თეატრში დაუდგამს
კიდეც.

ბოლოს იგი აფხაზეთის განათლების
მინისტრი იყო. სწორედ მინისტრობისას,
1938 წლის დასაწყისში დახვრიტეს უმე-
ცარი მომხრეების დასმენის შედეგად –
ზღვის სანაპიროზე გამოასალმეს სიც-
ოცხლეს და მკვლელობა ვარაუდის
საპირისპიროდ მუხლებზე მდგომი არ
ევედრებოდა მათ – ნუ მომკლავთო.
ამაჟად, ვაჟაკურად შეეგება მზაკვართა
ხელით ნასროლ ტყვიას...

მოგვიანებით სოხუმში, მაქსიმ გორკის
სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი
გაიხსნა, რომლის ცერემონიალსაც საბე-
ჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლესი
სასწავლებლების წარმომადგენლები
ესწრებოდნენ, რომელთა შორის გახლდათ
ტარტუს უნივერსიტეტის რექტორიც. მან
თურმე აღშფოთებით მიმართა დამსწრე
საზოგადოებას: “მე ტარტუს უნივერ-
სიტეტში თქვენი საამაყო თანამემამულე
მეცნიერის სიმონ აშხვაცაძეს პორტრეტი
მივიღია, თქვენ კი მის სახელს უმაღლეს
სასწავლებელს არ არქმევთო?”.

მართლაც საწყენია ის ამბავი, რომ
დღევანდელ აფხაზეთში ვიღაცას არ
სურს გაიხსენოს, თუ როგორ იხსნა სიმონ
აშხვაცაძე უეჭველი სიკვდილისაგან
ქართველმა თავადმა ნიკოლოზ (კოლა)
ერისთავმა.

აქვე ამ პიროვნებაზეც მოგახსენებთ
ორიოდ სიტყვას: კოლა ერისთავი იყო
საქართველოს ეროვნული მოღვაწე, დიდი
ქველმოქმედი, ილია ჭავჭავაძის თანამე-
ბრძოლი. ილიამ იგი ბანკის მმართველად
გააგზავნა, იმ დროს, ლამის ერთიანად
სომხებით დასახლებულ ქიზიყში, სადაც
ერისთავმა არაერთი კარგი ქართული
საქმე გააკეთა. ხალხს ძალიან უყვარდა
ეს წარმოსადგევი და ჭკვიანი ვაჟაკი,
რომელიც სხვისი ნიჭის პირუთენელი
დამფასებელი გახლდათ. ვაჟა-ფშაველას-
თან მეგობრობდა თურმე, დიდად აფასებ-
და და ხელს უწყობდა გენიალურ ქართვე-
ლ პოეტს...

სტუდენტობისას სიმონ აშხვაცაძე აფხ-
აზეთისათვის საუკეთესო პოლიტიკური მო-
მავლის ძიებაში რევოლუციას მიემხრო,
მერე კი აუმხედრდა. მაგრამ მისი ეს საქ-
ციელი არ გახლდათ პოლიტიკაში
ქოთვითცნობიერებული ახალგაზრდა
კაცის მიერ გაუაზრებელი
გადაწყვეტილების მიღების შედეგი. სიმონ
აშხვაცაძემ თავიდანვე განსჭვრიტა, რომ
რევოლუცია ბევრი სიკეთის მომტანი ვერ
იქნებოდა მცირე ერებისათვის და ობიექ-
ტური პოზიცია დაიკავა, რამაც
განსაზღვრა კიდევ მისი პოლიტიკური და
მოქალაქეობრივი სასიცოცხლო კრედი.
ამგვარი პოლიტიკური აზროვნების გამო
ერთი ხანი მეტეხის ციხეში იჯდა. იქ მძ-
იმედ დაავადდა და ნახევრად მკვდარი
გამოაგდეს ციხიდან. ხის ძირას იყო
მიგდებული და ნელ-ნელა ქრებოდა...

სწორედ ამ დროს ჩაუვლია მეტეხის
ციხეებთან ეტლით კოლა ერისთავს.

– ნახეთ, ვიდაც კაცი გამოუგდით ციხე-
იდან, იქნებ ცოცხალი ადარც კი არის,
მიდი, ნახე, სუნთქავს თუ არაო, –
უბრძანებია კოლას მეეტლისათვის.

მეეტლე მივიდა, სიმონი გადმოაბრუნა,
ყურები მოუსრისა და გახარებულმა შესა-
ხა:

– ცოცხალია, ბატონო, სუნთქავს!..

რის ვაი-ვაგლახით ჩასვეს ეტლში ახ-
ალგაზრდა დაუძლურებული კაცი და კო-
ლამ იგი ახალგაზრდა წაიყვანა, ერის-
თავების მამულში.

ერთი წელიწადი მკურნალობდნენ ერის-
თავთა ოჯახის წევრები სიმონ აშხვაცაძეს.

იმ დროისათვის საქართველოში საუკეთე-
სო ექიმი ლასხიშვილი დაუყენებიათ ავად-
მყოფის სარეცელთან და, როგორც იტყვიან,
სიკდილს გამოსტაცეს ხელიდან ახალ-
გაზრდა კაცი, რომელიც მხოლოდ აფხ-
აზურ ენაზე მეტყველებდა.

მაშინ კოლა ერისთავის უმცროსი ქალ-
იშვილი ნინა 19 წლისა ყოფილა. მას სი-
მონი შეუყვარდა თურმე, რომელმაც ასევე
სიყვარულით უპასუხა მშვენიერ ასულს.
გამოჯანმრთელებისთანავე სიმონ აშხვა-
ცაძე და ნინა ერისთავი დაქორწინდნენ –
ჯვარი დაიწერეს და მაშინვე აფხაზეთში
გადავიდნენ საცხოვრებლად.

ერისთავის ქალს აქ სულ სხვა კულ-
ტურა დახვდა, რომელიც მეუღლის დიდი
სიყვარულის გამო უხმოდ მიიღო – რძა-
ლი ფეხებს პბანდა მამამთილს... აფხაზური
კერძებიც იმდენად ცხარე იყო, რომ
ქართლურ ღებულ სამზარეულოს
მიხეუული ქალი ვერასხვით ვერ შეეგუა.
როგორც ჩანს, თავს მაინც გაუცხოებულად
გრძნობდა. მოაჯდებოდა ხოლმე ცხენს და
დიდიდან სადამომდე ჯირითობდა. სათუ-
თად გაზრდილი ერისთავის ასული გაციფ-
და, ტუბერკულოზით დაავადდა და 31
წლის ასაკში გარდაიცვალა, რაც დიდი
დარტყმა იყო სიმონ აშხვაცაძისათვის.

მათ ერთადერთი შვილი დარჩათ –
შალვა აშხვაცაძე, რომელიც ეს სახელი
ნინას ერთადერთი ძმის, 1921 წელს
დაღუპული იუნკრის, შალვა ერისთავის პა-
ტივსაცემად დაანათლეს.

შემდეგ იყო თავაუღლებელი მუშაობა, ახ-
ალი სამეცნიერო ტრაქტატები, პროტესტის
ლიად გამოხატვა ბოლშევიკური ძალადო-
ბის გამო, რასაც დაბეზლებები, სიმონის და-
პატიმრება და დახვრეტა მოჰყვა. შალვა
მაშინ მხოლოდ 13 წლისა იყო და ბოლ-
შევიკებმა იგი ძალდევით გამოაგდეს
გაგრის საკუთარი სახლიდან. ბავშვი 6
თვის განმავლობაში სოხუმის ბოტანიკურ
ბაღში ცხოვრობდა და მცენარეებითა და
ძირხვენების ჭამით იბრუნებდა სულს...

მოგვიანებით თურმე შალვა ამბობდა:
“დედამ არ ყუყვარდი, არასოდეს მეფერე-
ბოდაო”.

ეს არ გახლდათ სიმართლე, რადგან
უიმედო სნეულ ნინას ეშინოდა შვილ-
ისათვის არ გადაელო ეს მომაკდინებელი
დაავადება და ამიტომაც ერიდებოდა ერ-
თადერთ საყვარელ პირმშოსთან ურთიერ-
ობას. გვიან ღამით პირბადეს აიკრავდა,
ხელთათმანებს გაიკეთებდა და სახეშე-
ქცევით ეფერებოდა მძინარე შალვას...

ლამის სამყაროს დასასრულს ჰგავდა
ბავშვისათვის მამის დახვრეტა. იგი მთლად
დაობლდა. დიდებული იარაღით
გაწყობილი უძვირფასესი ნოხი დარჩა
თურმე სახლში, საიდანაც ბოლშევიკებმა
გამოაძევეს. სახლწარკვეთილი ბავშვი შინ-
სახკომეულებს ევედრებოდა: იარაღი მაინც
დამიტოვებო, ისინი კი დასცინოდნენ და
წიხლებით იგერიებდნენ.

მაინც გაუმართლა პატარა შალვას –
რამდენიმე თვის ძიების შემდეგ დეიდამ
იპოვა და დედულეთში წაიყვანა საცხ-
ოვრებლად, მაგრამ აფხაზეთი მაინც მწ-
ვავე ტკივილად დარჩა ბავშვის მესხიერე-
ბაში.

შალვა აშხვაცაძემ 1956 წელს მიიღო
მამის რეაბილიტაციის ცნობა. აღ-
მზრდელმა დეიდამ ურჩია, – ჩადი აფხ-
აზეთში, იქნებ ოჯახის კუთვნილი
ქონებიდან რამე მაინც დაგიბრუნონო. იმ
დროს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის
პირველი მდივანი, სიკეთით გამორჩეული
პიროვნება, ბლაჟა იყო, მთელ საბჭოთა
კავშირში კი მოქალაქეთა ჩაწერისა და
ადგილებზე დამაგრების მკაცრი წესები
მივინგარებდა. ამიტომ უთქვამს ბლაჟას:
თბილისში ცხოვრობთ და ვერ დაგეხ-
მარებით, სოხუმში თუ გადმოხვალთ
საცხოვრებლად, ყველაფერს მოგცემთო...

აშხვაცაძეების სახლი დაენგრიათ. შალ-
ვა ძალზე მოკვდავად იყო, მთელ საბჭოთა
იყო: უთხოვია, ბევრი არაფერი მინდა,
სადმე ორი ოთახი მომეცითო. გამოუყვეს...

მაგრამ შვილს მამის სახსოვრად ძა-
ლიან უნდოდა რაიმე მაინც ეპოვა სიმონ-
ის კუთვნილი ძველი ნივთებიდან.

შემთხვევით გაიგო, რომ ერთ-ერთი პარ-
ტიული მოღვაწის სახლში ინახებოდა
მათი ავეჯი. მაგრამ ამ ოჯახის დი-
ასახლისმა, რომელსაც ავეჯი შალ-
ვასათვის მისაცემად არ ემეტებოდა, თურმე
ერთიანად დასერა ტყავის შესანიშნავი
სამეული, მაგრამ შალვამ იგი მაინც
წამოიღო, რადგან მამის ხელშეწახები
ნივთები მისთვის სიმდიდრე კი არა,
ლამაზი წარსულის ხსოვნა იყო...

აშხვაცაძეების ოჯახი დღესაც
რუდუნებით ინახავს სიმონისეულ, დრო-
ვამისაგან გაცრეცილ სამეულს... კედელს
კი ნინა ერისთავის მათრახი ამშვენებს...

ეს არის ნათელი ხსოვნა, რომელიც უმ-
თავრესია როგორც ადამიანების, ისე ერე-
ბის ცხოვრებაში. და კიდევ: ამ ამბავს
ერთი საოცარი თავისებურება აქვს – ძა-
ლიანაც რომ მოინდომო, აფხაზების ამბავს
ისე ვერ მოჰყვები, ქართველები რომ არ
ახსენო...

ჩვენ გადავხედეთ 1980-იან წლებში
გამოცემულ ქართულ საბჭოთა ენციკ-
ლოპედიას და, ჩვენდა სამწუხაროდ, იქ სი-
მონ აშხვაცაძეზე დაწერილი ერთი
სტრიქონიც კი ვერ აღმოვაჩინეთ. ეს უკვე
ჩვენი, – ქართველების დიდი სირცხვილია.
ამიტომ, გაზეთი “ილორი” თხოვს ყველას,
ვისაც კი რაიმე წიგნები, სიმონ აშხვაცაძის
ხელნაწერები და ამ პიროვნებასთან
დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი
გააჩნია, გადმოუზახვროს იგი რედაქციას.
ჩვენ გვინდა მოვამზადოთ წიგნი ამ
შესანიშნავ პიროვნებაზე და მისი ერთო-
ბლივად გამოცემით უკვდავყოთ სიმონ
აშხვაცაძის სახელი, რომელიც ერთნაირად
ძვირფასია როგორც აფხაზების, ასევე
ქართველებისათვის.

“ციტატა- შეხსენება

აფხაზეთის ხალხმა ორგანუ-
ლად გააერთიანა თავისი
ეროვნებისა და ხალხის დამაზ-
ასიათებელი ტრადიციები, ადათ-
წესები, ხასიათი და თავისებურე-
ბანი, შექმნა ადგილობრივი
ადამიანის ერთიანი კოლორიტი-
ული ტიპი, უნიკალური ყოფითი
კულტურა, ურომლისოდაც ვერ
წარმოუდგენიათ საკუთარი თავი
ვერც ადგილობრივ ქართველებს
და ვერც აფხაზებს. აფხაზეთის
დღევანდელი ხელმძღვანელების
განცხადება, რომ სისხლით,
ტრადიციებით და ადათებით აფხ-
აზები უფრო ახლოს დგანან
ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, –
არასწორია. არაბებიც და
ებრაელებიც სემიტები არიან, მა-
გრამ მომძე ხალხს ვერაფრით
უწოდებ. ავიდოთ იგივე ნათე-
საური კავშირები: ადიღეელებსა
და ყაბარდოელებთან აფხაზების
დანათესაობის შემთხვევები
უკიდურესი იშვიათობა იყო, იმ
დროს, როდესაც ადგილობრივ
ქართველებსა და აფხაზებს
შორის ქორწინება ჩვეულებრივი
მოვლენა გახლდათ.


ალექსანდრე ჰაჭია,
1996 წლის დეკემბერი”.

გაზეთი "ილერი" უძველესი რუბრიკას "საშაქროსო საფეხბურთო კლუბები"

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები “ცრენა ზეზდა”, ბელგრადი, იუგოსლავია

დაარსებულია 1945 წელს,
სტადიონი “ცრენა ზეზდა”, 98.000 მაყურებელი.
იუგოსლავიის ჩემპიონი 22-ჯერ,
იუგოსლავიის თასის 18-გზის მფლობელი,
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1991 წელს,
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1991 წელს.

იუგოსლავიაში შექმნილი ეს შესანიშნავი სპორტული კოლექტივი ერთდღერთი საფეხბურთო კლუბია, რომლის სახელწოდებაც სხვადასხვა ენებზე სხვადასხვანაირად ჟღერს. მაგალითად, სერბულ ენაზე “ცრენა ზეზდა” წითელ დროშას ნიშნავს და მთელი მსოფლიო მას ამ სახელით მოიხსენიებს. “წითელი დროშა” კი გერმანულად არის “როტერ შტერნ”, ფრანგულად – “ეტუალ რუჟი”, ესპანურ ენაზე – “ესტრელია როხა”, იტალიურად “სტელლა როსა”, ინგლისურ ენაზე კი “რედ სტარ”.



ძირითადად ეტ იკური სერბებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა 1991 წელს, როცა ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, ხოლო შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა. ამავე წელს იუგოსლავიის პოლიტიკური ქარტეხილების გრიგალმა გადაუარა, რომელიც ხანგრძლივი სისხლიმდგრელი ომების შედეგად დასრულდა იმით, რომ იუგოსლავია რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. გამაფრებულმა პოლიტიკურმა წილსვლებმა და უსამართლოდ დადგენილმა უამრავი უდანაშაულო ხალხის სისხლმა გამოიწვია ის ამბავი, რომ იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრები და ამ ქვეყნის სპორტული კლუბები მასობრივად გაირიცხნენ საერთაშორისო შეჯიბრებებიდან.

“ცრენა ზეზდასთვის” ეს ღამის კატასტროფით დასრულდა, რადგან ის საბანკო ანგარიშები, რომელზეც უცხოელებთან საფეხბურთო კონტრაქტების წყალობით იუგოსლავიაში მილიონობით თანხები ირიცხებოდა, მთელ მსოფლიოში მოულოდნელად უცებ გაიყინა. პოლიტიკური მახვილი საბედისწეროდ

შეეხო იუგოსლავიის ფეხბურთსაც. ოფიციალურად ისინი არავის გაუსამართლებია, მაგრამ ფეხბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები უსამართლოდ დაისაჯნენ ქვეყანაში გამეფებული სახელისუფლებო ტერორის გამო. მართალია იუგოსლაველი ფეხბურთელები მანამდე მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონები არასოდეს გამხდარან (1960 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ისინი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხდნენ ანგარიშით 2:1), მაგრამ ისინი უამრავი მაღალი ტიტულების მფლობელები იყვნენ და იუგოსლავთა თუნდაც დროებითი არყოფნა თავისებურ აურყოფით დაღს ასევედა მსოფლიო ფეხბურთის სამყაროს.

“ცრენა ზეზდა” იყო უკანასკნელი საფეხბურთო კლუბი, რომლებიც ეთამაშნენ ცნობილ “ბასის ბიჭებს” – “მანჩესტერ იუნაიტედს”. სწორედ იუგოსლავიიდან გამგზავრებული მანჩესტერელეების თვითმფრინავი დაიშხრა მიუნხენის აეროპორტში, რასაც რამდენიმე მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელი სიცოცხლე შეეწირა. რომ არა ეს უბედურება, არავინ იცის როგორი შედეგით დაამთავრებდა ინგლისის ნაკრები 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელიც 1958 წელს გაიმართა შვედიაში. მანჩესტერელეებთან მატჩში იუგოსლაველი ფეხბურთელები ანგარიშით 3:0 მარცხდებოდა, მაგრამ სერბებმა ფრთა გამოიბეს და თამაში ფრედ დაამთავრეს. მაგრამ, საბოლოოდ, ორი მატჩის ჯამში მათ მაინც დამარცხდნენ მანჩესტერელეებთან. “ცრენა ზეზდა” იმანაც ვერ იხსნა, რომ მათ რიგებში თამაშობდა ლეგენდარული მეკარე ბეარა, ნახევარმცველი შეკულარევი და თავდამსხმელი-ბომბარდირი ბორა კოსტინი, რომელმაც 256 მატჩში 157 გოლის გატანით თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მოგვიანებით, ამ სამმა ფეხბურთელმა იუგოსლავია დასტოვა და მსოფლიოს სხვადასხვა გუნდებს მიაშურეს. იუგოსლავიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო მაშინ ეს ქვეყანა ორმოცამდე ძლიერმა ფეხბურთელმა დასტოვა, რამაც თავისებური დაღი დაასვა ამ ქვეყნის სპორტს. ქვეყნიდან წაიღნენ ისეთი ძლიერი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ კაშკაშა ვარკსკელავი დრაგან ჯაიჩი (იგი “ბესტიაში” გადაბარგდა), დრაგან სტოიკოვიჩი (გადავიდა “მარსელში”), რობერტ პროსინეჩი (გადავიდა “რეალში”) და დარკო პანჩევი, რომელმაც მილანის “ინტერს” მიაშურა. სწორედ ქვეყნის დეზბურთელებისაგან დაცლის შედეგი გახლდათ ის, რომ შესანიშნავი სპორტულ ფორმაში მყოფმა ბელგრადის “ცრენა ზეზდამ” მხოლოდ ერთხელ – 1991 წელს მოიპოვა (მათ “მარსელი” დაამარცხეს მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში) ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასიც.

მანამდე იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს 1979 წელს, როცა უეფას თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავეს. მათი მრისხანე მეტოქე მიონჩენგლადბახის “ზორუსია” მხოლოდ მეტოქის კარში მის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით გახდა გამარჯვებული.

“ცრენა ზეზდა” საფეხბურთო კლუბად მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა და მისი დამფუძნებლები ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუგოსლავი სტუდენტები იყვნენ. საშინაო მატჩებს ეს გუნდი ევროპულად “მარაკანაზე” ატარებს – პირველ სტადიონზე აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც 1979 წელს ჩატარდა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი. იმ წელს ამსტერდამის “აიაქსმა” დაამარცხა იტალიური “იუვენტუსი” და დაეუფლა ევროპის საპატიო ჯილდოს.

გიორგი ჯალაღანია

ლორის ფილტვი შეიძლება ადამიანს გადაუნერგონ

ავსტრალიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც დამტკიცეს, რომ შესაძლებელია ლორის ფილტვის გადანერგვა დაავადებული ადამიანისათვის. ცდების შედეგად დამტკიცდა, რომ გადანერგვის შემდეგ ლორის ფილტვი ადამიანის ორგანიზმს კარგად შეეთვისა და ჩვეულებრივ განაგრძო მუშაობა.

ფილტვის კიბოს დიაგნოზის სუნის

მიხედვით დაადგენენ

ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ დასვან ფილტვის კიბოს დიაგნოზი – სუნით! მათი კვლევებით დადგინდა, რომ ჯანმრთელი და ფილტვის კიბოთი დაავადებული ადამიანის შარბის სუნი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ გარკვეული რეაქტივების საშუალებით, წუთებში შეიძლება ამ დიაგნოზის დასმა და 50 შემთხვევიდან 47-ის შემთხვევაში ასე დასმული დიაგნოზი უტყუარია.

ზიმბაბვეში მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოზარდს შიდსი აქვს

ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზიმბაბვეს რესპუბლიკის მოსახლეობაში მოზარდთა 50 პროცენტზე მეტს შიდსი აქვთ. მათ შეისწავლეს 3 ათასზე მეტი მოზარდის ჯანმრთელობა რომელთა უმეტესობას ეს მძიმე დიაგნოზი აღმოაჩნდა. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს შედეგები ბოლო 10-15 წელია რაც ასე დამძიმდა, რაც ადრე არ აღინიშნებოდა ამ ქვეყანაში. მათ მიერ შესწავლილ იქნა 10-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები.

იუგოსლავია

ჯალათმა ნაჯახი ასწია, სიკედილმისჯილმა შეშინებული თვალებით შეხედა.
– შენ რა გენადლელება... მე კი სამსახურის შემდეგ შეშა მაქვს დასაჩეხი... – ჩაილაპარაკა ჯალათმა.

ტურისტული ჯგუფი აბორიგენ ევლურებს ჩაუვარდა ხელში. ყველანი ჯგუფის ხელმძღვანელს დაესივნენ.

– ნუ გეშინიათ, ესენი კაციჭამიები არ არიან, მხოლოდ გაგვაუპატიურებენ, ფულს წაგვართმევენ და გაგვიშვებენ, – დაამშვიდა ისინი ხელმძღვანელმა.

– ფულს რატომ წაგვართმევენ? – გააპროტესტა ერთმა ქალმა.

– ყოველთვის ასეა, ჯერ არავის უკითხავს, რატომ გაგვაუპატიურებენო!

ქერათმიანი ქალი გამყიდველს ეკითხება:

– თავგის წამალი გაქვთ?
– ღიას.
– შეგემური ხომ არ არის?..



გაზეთი “საქართველო და მსოფლიო” ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი! ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან! შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი “საქართველო და მსოფლიო”!

ვაზის საოცარი ჯიშები

ფირმა “გამწვანება” კრწანის გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, და რაც მთავარია, ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, რთვლობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მოპარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა “სამეფო” და “სათავადო”, რადგან ამ წრის ხალხს ქვიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

ტელ. 72-05-06.

მის. – თბილისი, გორგასალის 52. შპს “გამწვანება” კრწანისი.



ავტორებს ეპისოპატ
პასუხისმგებლობა ფაქტებისა და
მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ზანდუკელის ქუჩა №1
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www.ilor.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27